619
1979

ISSN 0130-1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

ნოემბერი
№ 11 1979 წ.




ბელადის მოწოდება





ეროვნული ბიბლიოთეკა

ს უ რ ა თ ზ ე: შენეფელდის აეროპორტში ლ. ი. ბრეჟნევთან შეხვედრის დროს.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

16222

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

# გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სრულ კმაყოფილებას გამოთქვამენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარგზავნილი სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის 1979 წლის 4-8 ოქტომბრის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგების გამო.

საბჭოთა დელეგაციის ვიზიტი, რომელიც რესპუბლიკის 30-ე წლისთავის დღესასწაულობაში მონაწილეობდა, უთვალსაჩინოესი მნიშვნელობის მოვლენა გახდა როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამოქმედების შემდგომი განმტკიცების მხრივ. ისე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საარსებო ინტერესების თვალსაზრისით.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, საბჭოთა დელეგაციის წევრებისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის, გერმანიის დამოკრატიული რესპუბლიკის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელების მოლაპარაკებისა და შეხვედრების დროს გაიმართა აზრთა გაზიარება ორი ქვეყნის თანამშრომლობის ყველა უმნიშვნელოვანესი ასპექტის გამო, განისაზღვრა მისი სრულყოფისა და გაღრმავების ძირითადი მიმართულებანი ხანგრძლივი პერსპექტივისათვის. ორი ქვეყნის ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ შესაძლებლობათა შეერთებამ დიდი სამეურნეო ამოცანების ერთობლივი გადაწყვეტის მიზნით უკვე შესანიშნავი ნაყოფიერი შედეგები მოგვიტანა. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, უდავოდ, ახალ იმპულსს მიანიჭიებს 1990 წლამდე პერიოდისათვის სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების პროგრამა, რომელსაც ვიზიტის დროს მოაწერეს ხელი.

უაღრესად გულითადი მიღება, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაუწიეს საბჭოთა დელეგაციას, გადაიქცა იმ ურღვევი ძმური ურთიერთობის დემონსტრაციად, რომელიც სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხებს აერთიანებს. აგერ უკვე სამი ათწლეულია ორი მოძმე სახელმწიფოს მჭიდრო კავშირი საიმედოდ ემსახურება მშვიდობისა და აღმშენებლობის მიზნებს. მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ ამ მიზნებს იგი კვლავაც მოემსახურება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 30 წლისთავის დღესასწაულობა გახდა შთამბეჭდავი დათვალიერება იმ მიღწევებისა, რომლებიც გარმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვეს გერმანელმა მშრომელებმა საზოგადოების ცხოვრების ყველა დარგში — სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში, ეკონომიკის აღმავლობაში, მეცნიერებისა და კულტურის აყვავებაში, მასების კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის, ხალხთა თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარების უფლებათა დაცვის პოლიტიკას, მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი მოიხვეჭა, მისი ხმა სულ უფრო ძალუმად გაისმის ევროპისა და მსოფლიოს საქმეებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლე საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრინციპულად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ის, რომ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ბერლინში წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებულმა ახალმა საბჭოთა ინიციატივამ სამხედრო დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პრობლემებზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა მოძმე ქვეყნების სრული მხარდაჭერა პოვა. იგი დიდი ინტერესით აღიქვეს ბევრი ქვეყნის გავლენიან წრეებში, და ამ ინიციატივამ განუმტკიცა ხალხებს მშვიდობის დამკვიდრების იმედი.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ამასთანავე ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ნატოს ქვეყნებში, საბჭოთა ინიციატივის პოზიტიური ხასიათის აღიარებასთან ერთად, კვლავინდებურად ცდილობენ გამოჩხრიკონ მოგონილი არგუმენტები, რათა განახორციელონ თავიანთი საშიში გეგმები — განალაგონ დასავლეთ ევროპაში საშუალო რადიუსის მოქმედების ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღი, ანუ დაარღვიონ კონტინენტზე დამყარებული ორი დაჯგუფების სამხედრო ძალების წონასწორობა.

საბჭოთა ინიციატივამ დასახა შესაძლებლობა, რომ თავიდან ავიცილოთ გამალებული შეიარაღების შემდგომი გამალება, დავადგეთ რეალური განიარაღების გზას, შევინარჩუნოთ და ვამრავლოთ დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ნაყოფი. ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებზე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე, ნატოს სხვა ქვეყნებზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას. დასავლეთის ქვეყნების ხელმძღვანელებმა პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა გამოიჩინონ და კეთილი ნების სულისკვეთებით უპასუხონ საბჭოთა კავშირის მაგალითს. ხალხები მოელიან ამას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი, როგორც ეს ბერლინში განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა, მთელი ენერგიითა და სიმტკიცით ილვანებს, რათა გაათავისუფლოს 80-იანი წლები ეჭვისა და შიშისაგან, და რაც მთავარია — გამალებული შეიარაღებისაგან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მთლიანად მოიწონეს დელეგაციის საქმიანობა და დაავალეს შესაბამის უწყებებს უზრუნველყონ სსრკ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ვიზიტის დროს მიღწეულ მორიგებათა სრული რეალიზაცია.




# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ახალგაზრდობის აღზრდის მიზნით ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 22 ოქტომბერი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**დროშა**

№ 11 (515). ნოემბერი, 1979 წ.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1979 წ.

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
ზურაბ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი

**მთელს რესპუბლიკას მოედო სასიხარულო ცნობა—საქართველოს კომკავშირი მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი—ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.**

ეს მაღალი ჯილდო ყველა თაობის კომკავშირელებმა დაიმსახურეს!

იგი მოპოვებულია თავდადებული შრომით, გმირული ბრძოლით, კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდში დგომით!

ჩვენო ჭაბუკებო და ქალიშვილებო, გილოცავთ ამ მაღალ ჯილდოს! დაე, იგი თქვენი ახალი საგმირო საქმეების წინამძღვარი იყოს!

წინ, რესპუბლიკის სიჭაბუკევ!

**გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს—კომუნისტების მებრძოლ რეზერვს, კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რაზმს!**

# საზეიმო [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 62-ე წლისთავს!**

**გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას!**

**გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

●

ნახევარ საუკუნეზე მეტია ქართული თეატრის სცენას ამშვენებს ვერიკო ანჯაფარიძე. ამ დროის მანძილზე მან შექმნა უამრავი როლი. მისი გამოსვლა სცენაზე ყოველთვის ზეიმია, ხელოვნების ზეიმი.

ვერიკო ანჯაფარიძე დღესაც მუშაობს, შრომობს, იღწვის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე.

მთავრობამ დიდად დააფასა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვერიკო ანჯაფარიძის ღვაწლი საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. **ვერიკო ივლიანეს ასულ ანჯაფარიძეს** მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.



ვერიკო ანჯაფარიძე.

●

ენგურჰესის მშენებელთა შეუპოვარმა შრომამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ის მუშაკები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი, დაჯილდოვდნენ საბჭოთა კავშირის ორდენებით და მედლებით.

სამშობლოს უმაღლესი ჯილდოები მიენიჭათ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს მაღლივი კაშხალის სამშენებლო სამმართველოს მეარმატურეთა ბრიგადირს **ალექსანდრე გრიგოლის ძე ოლეინიკოვსა** და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის უფროსს **მიხეილ აპოლონის ძე ცისკარიშვილს.** მათ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებისათვის მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცათ ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“.



ალექსანდრე ოლეინიკოვი.



მიხეილ ცისკარიშვილი.

●

თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ვინ მოთვლის რამდენი სახელოვანი ადამიანი, საზოგადოების ღირსეული წევრი გაუზარდია გრიგოლ ბეგლარის ძე კობახიძეს; გაუზრდია ისე, მამულს რომ შეჰფეროდეს, ჩვენი ქვეყნის, ხალხის ინტერესები რომ მოითხოვს, ჭეშმარიტ მამულიშვილებად გამოუჭედავს და გამოუწვრთნია ისინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა თბილისის 77-ე სკოლის დირექტორს **გრიგოლ ბეგლარის ძე კობახიძეს.**

დაე, დიდხანს იცოცხლოს, კვლავაც მრავალი სასახელო ადამიანი აღუზარდოს ჩვენს ქვეყანას სახელოვანმა პედაგოგმა.



გრიგოლ კობახიძე.

●

ამას წინათ დიდი ზეიმი გაიმართა სასწრაფო სამედიცინო დახმარების საავადმყოფოში — გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა ბრძანებულებამ გაახარა ყველა თანამშრომელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის სახალხო ექიმის საპატიო წოდება მიენიჭა **კორნელი გრიგოლის ძე წეროძეს.**

სამი ათეული წელია თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების საავადმყოფოში ექიმად მუშაობს კორნელი გრიგოლის ძე წეროძე. მას მართალ, პატიოსან მკურნალად იცნობენ, როგორც კოლეგები, ისე პაციენტები.

ვულოცავთ კორნელი გრიგოლის ძე წეროძეს ამ მაღალ საპატიო წოდებას, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ მუშაობას.



კორნელი წეროძე.

## საზეიმო

შემოდგომაა ძლიერებისა,
შემოდგომაა გამარჯვებისა.
თბილისს მოაწყდა ამერ-იმერი,
ქართული ღვინის დამაჭრებისას.

ქალაქს ალაღებს სოფლის ბარაქა,
ჰიმნი, მიწაზე გარჯილ ერისა.
ლექსმა ბალ-ზვარში დამაბანაკა,
ველ-მინდვრის ფერებს შემაფერისა.

ვაშა, მშობელი ხალხის ზეიმებს,
ვაშა, ლექსის და ვაზის ზეიმებს!
ამაზღვევინე თუ რამ დავკარგე,
მზის იალაღზე ამაზღვევინე.

ვანთებ ახალი ტაძრის კელაპტრებს,
ბადაგი მომაქვს ახალ სურითა.
ქართული ჰანგი გავაფერადე
ოსურითა და აფხაზურითა.

იხარე, ჩემო მაღალო ხალხო,
ჩემო ლამაზო ხალხო, იხარე.
გამარჯვებათა რტოზე ყლორტები
ხულ ასე ლაღად ამოიყარე!

ლადო სულაბერიძე

საქართველოს პარტიული
აქტივის გადაწყვეტილებანი
მოქმედებაში

# აგიტატორი

ეროვნული ბიბლიოთეკა




ს უ რ ა თ ზ ე: აგიტატორი როზა ზარანდია საამქროში ატარებს საუბარს.

ნინო აკოფოვამ, რომელიც ნაკადური ხაზის ბოლოში მუშაობს, მრავალჯერ შეატრიალა ხელში ახალი ნამზადი — ბავშვის წაღის პირი.

ფეხსაცმლის სარჩული არასწორად იყო დაკერებული და კონტროლიორმა ნინო აკოფოვამ იგი უკან დააბრუნა გადასაკეთებლად.

აგიტატორი როზა ზარანდია თვალს არ აცილებდა კონტროლიორის მოძრაობას, თან უბის წიგნაკში ინიშნავდა ნამზადის ნაკლს.

არც ნელი და არც ციური რუსიები ნამზადის ნაკლში დამნაშავეები არ იყვნენ, მაგრამ მაინც ღელავდნენ.

— ეს არ არის გასაკვირი, — გვიხსნის საბავშვო ფეხსაცმლის მეორე შემკერავი საამქროს ნაკადური ხაზის ბრიგადირი, აგიტატორი როზა ზარანდია,— დები ერთმანეთს ეჯიბრებიან და თითოეულს სურს, რომ გამარჯვებული გამოვიდეს.. მათ გულთან ახლო მიაქვთ მთელი ხაზის, მთელი საამქროს წარუმატებლობა.

საერთო საქმისადმი ასეთი მზრუნველობა განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მუშის ჩვეულებრივი თვისებაა. როცა მოწინავე მუშა პირადი ვალდებულების განაღდებისათვის იბრძვის, იგი მთელი საამქროს, მთელი საწარმოს ბედითაც არის დაინტერესებული.

ცხადია, ასეთი შეგნებული მოვალეობის გრძნობის ჩამოყალიბებაში თანამედროვე მუშას ჩვენი დღევანდელი ცხოვრების მთელი რიგი ფაქტორები უწყობს ხელს, მაგრამ გადაჭარბებული როდი იქნება, თუ ამ ფაქტორთა შორის ერთ-ერთ უპირველესს აგიტატორის საქმიანობას დავასახელებთ. დიახ, სწორედ აგიტატორის საქმიანობამ — მისმა ოპერატიულობამ, სიღრმემ და სიზუსტემ, განსახილველი თემის მსმენელთა გულებამდე მიტანამ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საამქროს მუშებში თანამედროვე იდეოლოგიური მრწამსისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

და განა ეს ცოტაა?! განა ეს ნათლად არ მიანიშნებს იმ დიდ შემეცნებით, აღმზრდელობით, დამრაზმველ და წარმართველ როლზე, რომელიც რიგით აგიტატორს ენიჭება კომუნიზმის მშენებელი ადამიანის იდეოლოგიურ აღზრდაში.

დღეს თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის" მეთაურ საწარმოში აგიტაციის დღეა.

აგიტატორი როზა ზარანდია თავისი მსმენელების წინაშე გამოდის თემით „ადამიანის უფლებები შეუვალია".

აგიტატორმა ჯერ კიდევ გუშინ, როცა აგიტკოლექტივის თათბირიდან შინ დაბრუნდა, ერთხელ კიდევ გულდასმით გადაავლო თვალი იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაძლიერების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენი-

ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი კოლმეურნეობაა — სოფელ მაღაროს კარში. იგი ღირსეულად ატარებს გენიალური ვაჟა-ფშაველას სახელს.

კოლმეურნეობის მთავარი დარგი მეცხოველეობაა. იშვიათია საქართველოში მეურნეობა, რომელიც ასე მდიდარი იყოს ბუნებრივი სათიბ-საძოვრებით, სადაც ზაფხულობით უხვად არის სურნელოვანი ქორფა ბალახი.

ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობას იმ დროს ვესტუმრეთ, როცა თიბვა იყო გაჩაღებული. პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰამლეტ კერესელიძემ ავტომანქანის მძღოლი გააფრთხილა, სოფელში არ შეჩერდე, იქ ახლა ვერავის ვნახავთ, ყველა თიბვაზეა წასულიო. სოფლებში მართლაც კაცის ჭაჭანება არ იყო.

ზღვის დონიდან ორი ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე ვართ. ჩვენ თვალწინ გადაიშალა ზღაპრული სანახაობა — მწვანედ მობიბინე გოლიათი მთები.

— აქ საკვების დამზადება და ფერმებთან თივის მიზიდვა — მარტო სიძნელეებთან კი არა, რისკთანაც იყო დაკავშირებული.—გვიხსნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსი ტუნტურიშვილი. — მხოლოდ ფეხმარდ, ჩაუქ მთიელს შეეძლო თივის ჩატანა ციცაბო ფერდობებზე.

და აი, ახდა ფშაველთა ოცნება! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მზრუნველობით, რომლებმაც უკანასკნელ წლებში საპროგრამო დადგენილებები მიიღეს ფშავ-ხევსურეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, ზვიადი მთები სოფლის ცენტრს დაუკავშირეს. ამოქმედდა საკვების წარმოების გადიდების რეზერვები.

გზა გაიყვანა „საქკომსოფელტექნიკის" მთებში მისასვლელი გზებისა და საძოვრების გაუმჯობესების მექანიზებული სამმართველოს კოლექტივმა. ვალში არ დარჩენილა მაღაროსკარის კოლმეურნეობაც, რომელმაც გზის მშენებლობისათვის გაიღო საკუთარი სახსრები.

— კარგი იქნება თუ ეს გზა კვლავ გაგრძელდება ორი კილომეტრით მაინც და მანქანებით კუდოს მთის სამხრეთ ფერდობებსაც დავიპყრობთ. საჭიროა ორკილომეტრიანი საბაგირო გზის გაყვანა მაღაროსკარიდან კუჭეჭას მთამდე. მაშინ თითქმის ორჯერ მეტ საკვებს დავამზადებთ, — გვითხრეს კოლმეურნეობის თავკაცებმა.

თიბვაზე მართლაც ქუდზე კაცი იყო გამოსული. აქ იყვნენ მოხუცები და ახალგაზრდები, პენსიონერები და მოსწავლეები, სოფლის მთელი ინტელიგენცია. „პროფესიონალურ" მთიბავებს, როგორც აქ მათ ეძახიან, დავით მგელიშვილს, ხვთისო მახაურს, ლევან კაკაბლიშვილს ტოლს არ უდებდნენ მაღაროსკარის საშუალო სკოლის დირექტორი გიორგი თურმანაული, ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დირექტორი ნიკო არაბული. პედაგოგები გიორგი გუშარაშვილი, ნიკო ჭინჭარაული, მიხეილ ნაყეური, მათე თურმანაული, მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გიორგი მაჩხოშვილი, მდივანი გოდერძი სულიაშვილი, ბუღალტერი ავთანდილ ნაყეური...

საკვებმომპოვებლები იყენებენ მცირე მექანიზაციის საშუალებებსაც — „მფ-73" მარკის მოტოსათიბელებს. ერთ დღეში იგი თიბავს სამ ჰექტარს და ათავისუფლებს ათ კაცს.

გზას მთებში ტრაქტორებიც ამოყვა. გამოცდილი მექანიზატორი არჩილ პაპიაშვილი ციცაბო ფერდობებზე მარჯვედ ატარებს „ბელორუსს". თითქმის მიუდგომელი ადგილიდან მიაქვს თივის ზვინები საავტომობილო გზამდე.

მთებში მძღოლებს ვაჟკაცობა და საზრიანობა მართებთ. უმცირეს შეცდომასაც კი შეიძლება საბედისწერო შედეგი მოყვეს. მაგრამ ვახტანგ ცაბაურიშვილს, ალექსი ზურაბიშვილს, თეიმურაზ ვაჩეიშვილს ჭკუის სწავლება არ ჭირდებათ. ისინი მოხერხებულად მართავენ მანქანებს, დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. სწრაფად გადააქვთ საკვები ფერმებში, სადაც ზვინებად დგამენ. აქაურმა ხელმარჯვეებმა შეცვალეს მანქანის ძარას კონსტრუქცია, ბორტების ნაცვლად გრძელი რკინის ჭალები მიამაგრეს, რამაც ორჯერ მეტი თივის გადაზიდვის შესაძლებლობა მისცათ.

აგვისტო — სექტემბერი ფშავ-ხევსურეთის მთებში საკვების დამზადების გადამწყვეტი პერიოდია. კოლმეურნეობის ვრცელ ტერიტორიაზე, რომელიც 61 სოფელს აერთიანებს და გადაჭიმულია 125 კილომეტრზე, ყველა საკვებზე ზრუნვით ცხოვრობს. წელს ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობამ თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე მეტი თივა დაამზადა — 22 ათასი ცენტნერი.

მაღაროსკარელებმა ასე კარგად რომ იციან საკვების ფასი, ამიტომაც აქვთ კიდეც მაღალი მაჩვენებლები მეცხოველეობაში.

ნათქვამის დასადასტურებლად კოლმეურნეობის ეკონომისტმა გიორგი მახაურმა საინტერესო ციფრები დაასახელა, რათა უფრო მკაფიოდ გამოეხატა მიღწევები.

— ფარებში 18 ათასის ნაცვლად 20 ათასზე მეტი ცხვარი გვყავს, ჯოგში გეგმის ზევით გვყავს ასობით სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, კოლტში — სამასზე მეტი ღორი. წელს სახელმწიფოს მივყიდით 220 ტონა ხორცს, 500 ტონა რძეს, 50-მდე ტონა მატყლს. მეცხოველეობა 150 ათას მანეთ წმინდა მოგებას მისცემს კოლმეურნეობას.

ამ წარმატებაში მაღაროსკარელებს აქვთ კიდევ ერთი „საიდუმლო". აქ უპირატესობას ანიჭებენ ადგილობრივ ჯიშებს. ავიღოთ მაგალითად, ხევსურული ჯიშის ძროხა. იგი უძველესი დროიდან არის გამოყვანილი ხალხური სელექციის გზით. ამ

ლებას. ამოიწერა ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ იდეურ-აღმზრდელობითი და საინფორმაციო მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა განუმარტოს მშრომელებს, რაოდენ ყალბია დასავლეთის სამყაროს მტრული ცილისმწამებლური პროპაგანდა სოციალისტური ქვეყნების მიმართ.

სანამ საუბარს შეუდგებოდა, აგიტატორმა გულმოდგინედ შეისწავლა მუშაობის მეთოდი, მოიმარჯვა საჭირო ციფრები და ფაქტები. მსმენელებს არ უყვართ ზოგადი მსჯელობები, მათ კონკრეტული, ცხოვრებისეული საუბარი ზურთ. მართლაც, აბა რა ფასი აქვს ცხოვრებისაგან მოწყვეტილ აგიტაციას, მარტო იმით დაკმაყოფილებას, რომ მსმენელებს ინფორმაცია მიაწოდო მომხდარი მოვლენის შესახებ?!

საუბარს დები რუსიებიც ესწრებოდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ძირითადი საკითხის მოსმენის შემდეგ აგიტატორს უნდა მოეხსენებია ინდივიდუალური შეჯიბრების შედეგები.

ამასვე მოელოდნენ სხვებიც.

აგიტატორმა მოკლედ და შთაბეჭდავად ილაპარაკა იმაზე, თუ ნიუ-იორკის აეროპორტში პოლიციამ როგორ დააკავა საბჭოთა თვითმფრინავი, რომლითაც დიდი თეატრის მსახიობი ვ. ვლასოვა, სხვა საბჭოთა თანამგზავრებთან ერთად, სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო.

ახლა საჭირო იყო ამ ყველასთვის უკვე კარგად ცნობილი აღმაშფოთებელი ფაქტის გაანალიზება, მსმენელთა აზრის მოსმენა, ყველაფრის შეჯამება, დასკვნის გამოტანა.

არც ეს იყო საკმარისი!

კარგი აგიტაცია მარტო ინფორმაციის დროული მიწოდება და მისი გაანალიზება როდია! განსახილველი თემა აგიტატორმა ყოველთვის ადგილობრივ ცხოვრებასთან კავშირში, საწარმოს ამოცანებთან შეფარდებაში უნდა განიხილოს.

ასეც მოიქცა როზა ზარანდია: განსაზღვრა რა თითოეული მსმენელის პოზიცია, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა მშრომელის სახელით აგიტატორმა დაგმო ამერიკელ ხელისუფალთა თვითნებური მოქმედება და დასვა კითხვა — რით შეიძლება ვუპასუხოთ ჩვენ, საწარმოს რიგითმა მშრომელებმა ჩვენი დიადი სამშობლოს წინაშე მსგავს პროვოკაციულ გამოხდომებს?

მსმენელთა პასუხი ნათელი და გარკვეული იყო: მეტი სიფხიზლით, იდეოლოგიური დონის ამაღლებით, თავდადებული შრომით, რომელიც კიდევ უფრო მძლავრსა და მტკიცეს გახდის საბჭოთა სამშობლოს!

და აი ახლა, ამ თავდადებული შრომისთვის შექმნილ საერთო განწყობილებაში, კიდევ უფრო მკაფიოდ, კიდევ უფრო შეუწყნარებლად გამოიკვეთა წუნდებული ნამზადის — ბავშვის წალის პირის ფაქტის საჯაროდ გამოტანა.

ჩვენი ამოცანაა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდეს! —ასეთი იყო საერთო გადაწყვეტილება.

აგიტატორმა შეაჯამა სოციალისტური შეჯიბრების რამდენიმე დღის შედეგები. დაასახელა მოწინავეები — დები რუსიები, ანაიდა დავიდოვა, მარია კორჩაგინა, ლული კარტოზია...

დასმულ შეკითხვებზე როზა ზარანდიამ, ჩვეულებისამებრ, ამომწურავი პასუხები გასცა, უბის წიგნაკში ჩაინიშნა ზოგიერთი შენიშვნა, იქვე დასახა მომავალი აგიტაციის დღის სამოქმედო პერსპექტული გეგმა.

აგიტატორი როზა ზარანდია მთელი დღე კონვეიერთან დგას და მაინც პოულობს დროს ბრიგადის წევრებთან გასასაუბრებლად, დასახმარებლად.

ნელი და ცაური რუსიები ახლახან მოვიდნენ ფაბრიკაში პროფტექნიკური სასწავლებლიდან. ამიტომაც არის, რომ აგიტატორი უფრო მეტს ზრუნავს, უფრო მეტ დროს ანდომებს მათ. როზა ზარანდიას ხშირად ნახავთ დებთან, ამხნევებს, არიგებს, გამოცდილებას უზიარებს, ზოგჯერ საჭიროებისამებრ, კიცხავს კიდეც მათ. ეს გაკიცხვა სამართლიანია, ასეა საჭირო კოლექტივის მოწინავე წევრად გახდომისათვის.

ოცდასამი წელიწადია რაც როზა ზარანდია მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ფაბრიკაში მოვიდა სამუშაოდ. ახლა იგი ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება მთელს გაერთიანებაში.

უქმად ვერასდროს ნახავთ როზა ზარანდიას. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მას ხშირად შეხვდებით ბიბლიოთეკაში. კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, ეცნობა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, იმაღლებს პოლიტიკურ დონეს, რათა თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვებსაც გადასცეს..

უამრავი სასუბრო თემებია აგიტატორის რვეულში. ეს თემები ძირითადად გამომდინარეობს ჩვენი პარტიის პოლიტიკიდან, სკკპ XXV ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომებიდან.

იცის ბრიგადირმა, ცოდნის გარეშე არ არის რწმენა.

ამიტომ მუშაობს ბევრს, რომ სხვებსაც განუმტკიცოს იდეური რწმენა, ჩააგონოს, აღაფრთოვანოს ადამიანები.

— ძალიან მიხარია, რომ ჩვენი გაერთიანება ბოლო დროს კარგ მაჩვენებლებს აღწევს. მიხარია იმიტომაც, რომ ეკონომიკა და აღმზრდელობითი მუშაობა ერთმანეთს ერწყმის. როცა ხელთა მაქვს კარგი ციფრები, მსმენელთან მისვლა სასიამოვნოა; ეს ციფრები ხელს მიწყობს ადამიანებთან მუშაობაში, მათ აღზრდაში, სოციალისტური შეჯიბრების უკეთ წარმართვაში.

ეს სიტყვები აგიტატორ როზა ზარანდიას ეკუთვნის.

ᲘᲕᲔᲠᲘ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ

# ᲕᲐᲟᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ



მთიბავები.

ნ. ᲓᲐᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

ჯიშს მაღალმთიან პირობებში ბადალი არ ჰყავს. მომცრო ტანი, განვითარებული ჩლიქები და მუხლები ხელს უწყობს ადვილად მოძოვოს ციცაბო ფერდობებზე, სიცივის ამტანია, არ მოითხოვს დიდი რაოდენობით კომბინირებულ საკვებს, აქვს გემრიელი ხორცი, მაღალცხიმიანი რძე, საშუალოდ იწველის 900 კილოგრამს. მოწინავე მწველავები. ლენინის ორდენოსანი მარიამ ალუდაური, ეთერ ელიზბარაშვილი, თამარ გორზაული და სხვები თითოეულ ძროხაზე 1.300—1.400 კილოგრამ რძესაც წველიან, რომელიც ტოლფასოვანია სხვა ჯიშებიდან მიღებული ორი ათასზე მეტი კილოგრამი რძისა.

ამ ჯიშს ერთ დროს მოსპობა ემუქრებოდა. მხოლოდ უკანასკნელ წლებში მიექცა მას განსაკუთრებული ყურადღება. მაღაროსკარის კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა ორი სანაშენო ფერმა, ყოველწლიურად ასობით სული მოზვერი და დეკეული მიჰყავთ სანაშენოდ აქედან აჭარის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და სხვა მთიანი რეგიონების მეურნეობებს. მოთხოვნილება კი გაცილებით მეტია, რადგან ბოლოსდაბოლოს ამ ზონებს ვერ ეგუებიან მაღალპროდუქტიული ჯიშები, მათი გამოკვება ძვირი და შეუძლებელიც კი ხდება. ამიტომ შემოყვანილი ჯიშები ბევრგან მასობრივად გაწყდა და მეურნეობებს დიდი ზიანი მიაყენა.

ან კიდევ ავიღოთ მანგალეცის ჯიშის ღორი. ერთ დროს კოლმეურნეობას დაუსაბუთებლად უკიჟინებდნენ იგი მსხვილი თეთრი ჯიშით შეეცვალათ. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები არ წავიდნენ ამ გზით, არ აიღეს ხელი მანგალეცის ჯიშზე, მთის პირობებში ისიც უბადლოა. შემოდგომაზე თვეობით ტყეშია და უფასო საკვებს იღებს. მისი ხორცი ორჯერ იაფი ჯდება ,ვიდრე მსხვილი თეთრისა. ახლა მანგალეცის ჯიშს კვლავ ეძებენ ის მეურნეობები, რომლებმაც მასზე ყურმოჭრილად აიღეს ხელი. ხსნა ისევ ერთ რამეშია, ამ კოლმეურნეობაში იქმნება მანგალეცის ჯიშის სანაშენო მეღორეობის ფერმაც. — ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს ამ ძვირფასი ჯიშის კვლავ ფართოდ გავრცელებას, — გვითხრა კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა, მეღორეობის ფერმის გამგემ ტა-

(დასასრული იხ. მე-11 გვ.).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრიგადული შრომით

**გაუმარჯოს საბჭოეთის გმირ მუშათა კლასს — კომუნიზმის მშენებლობის მოწინავე რაზმს!**

*სკკპ ცენტრალური კომიტეტის [illegible] მოწოდებებიდან.*

თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის კოლექტივმა შესწორება შეიტანა მიმდინარე წლის გეგმაში: მან მტკიცედ გადაწყვიტა პროდუქციის გამოშვება გაზარდოს 155.000 მანეთით.

ეს გადაწყვეტილება მილებულია გულდასმით შემუშავებული გეგმის, ახალი თანამედროვე მოწყობილობით საამქროების აღჭურვის, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად. კალინინელთა გადაწყვეტილებაში დიდი როლი შეასრულა შრომის სწორმა ორგანიზაციამ, სტიმულირების ბრიგადულ ფორმაზე გადასვლამ.

ინდივიდუალური შრომიდან ბრიგადულ შრომაზე გადასვლას სათავეში ჩაუდგა შრომის დიდების ორდენის კავალერი რევაზ ლელუაშვილი.

წარმოების მოწინავეებმა გეგმაზომიერი მუშაობა გაშალეს შრომის კოლექტიური ფორმების დანერგვისათვის.

№ 1 მექანიკური-საამწყობო საამქრო მწვავედ განიცდიდა გამოცდილი მუშახელის ნაკლებობას, ხშირად აკლდათ საჭრელი და საზომი ინსტრუმენტები.



▲ საქმიანი საუბარი.

▼ რევაზ ლელუაშვილი.

ანზორ გოგოლაძის ფოტო.



როცა ერთიანი თანრიგით ანაზღაურების ბრიგადად გაერთიანდა, რევაზ ლელუაშვილის კოლექტივმა გადაწყვიტა ეშრომა ნაკლები შემადგენლობით — მხოლოდ შვიდი კაცით. ბრიგადამ თითოეულ წევრზე გააერთიანა ე. წ. „ხელსაყრელი" და „არახელსაყრელი" სამუშაოები; ცხადია, ამაღლდა ყოველი წევრის პასუხისმგებლობა საერთო საქმისათვის.

ბრიგადამ, რომელიც ყველა საქმეს ერთად აკეთებდა, თანრიგისა და კოეფიციენტის გათვალისწინებით ანაწილებდა შრომით მონაწილეობას — მნიშვნელოვან ზემოქმედებას მიაღწია კოლექტივის თითოეული წევრის მატერიალურ დაინტერესებაზე.

შრომის ასეთ წესს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა მიენიჭა — ბიჭებმა სწრაფად მოიშორეს თავიდან დროის უაზრო დანახარჯები, გაცდენები, დაგვიანებები. თითოეულის საქმე მტკიცედ გადაიქცა საერთო საქმედ.

ორგანიზაციული და ტექნიკური სიახლის დანერგვის გარეშე შეუძლებელია ნაკლები მუშახელით სერიოზული წარმატების მიღწევა. აი, ამიტომაც, ახლა სადაც ლელუაშვილის ბრიგადა შრომობს — უკვე მექანიზებულია ასაწევ-სატრანსპორტო სამუშაოები, სხმულებისათვის საჭირო საწმენდი დოლების გამოშვება; ყველა სამარჯვსა და აღჭურვილობას აქვს შემცველები. დოლების საყრდენებში გაბურღვის პროცესის სრულყოფამ ორჯერ შეამცირა დამხმარე სამუშაოები.

ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების რეზერვია ისიც, რომ ბრიგადაში აითვისეს მომიჯნე პროფესიები, გააუმჯობესეს შრომის ორგანიზაცია.

აი, ასე აღმოფხვრეს ამ მისაბაძ კოლექტივში კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა. შვიდკაციანი ბრიგადა ახლა წარმატებით ასრულებს იმ სამუშაოებს, რაც თერთმეტკაციანი კოლექტივისთვის არის გათვალისწინებული.

შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადულ ფორმაზე გადასვლამ რევაზ ლელუაშვილის ბრიგადას საშუალება მისცა მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი. № 1 მექანიკურ საამწყობო საამქროში რევაზ ლელუაშვილის ბრიგადა ახლა 1981 წლის ანგარიშში შრომობს.

მიმდინარე წლის სექტემბერში ერთიანი განაწესით დაიწყო მუშაობა ბრიგადამ, რომელსაც გიორგი ხლებნიკოვი მეთაურობს. ეს ბრიგადაც ახლა უფრო ნაყოფიერად შრომობს და წარმატებით ამზადებს რთულ ვიბროდანადგარებსა და ცხაურებს.

— ჩვენს საქმიანობაში დიდი დახმარება ვაგვიწია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა თენგიზ პაიჭაძემ, — შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის სისწორეში საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით. ჩვენი საწარმო ახლა მთლიანად ასრულებს ხელშეკრულებით დადებულ მიწოდების გეგმებს, მუშაობს რიტმულად; სამსხმელო მოწყობილობათა 53 პროცენტს ვუშვებთ ხარისხის სახელმწიფო ნიშნით, ეს ციფრი ხუთწლედის ბოლოს 60 პროცენტამდე ამაღლდება.

**რობერტ მეგრელიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



სოციალისტური შრომის გმირი
ვალერიან მეუნარგია

ალექსანდრე სააკოვის ფოტო

ჩაის პლანტაციაში





გულრიფში 1971 წ კონსტანტინე სიმონო-
ვი და ირაკლი აბაშიძე.

ნაზიმ ჰიქმეთი და ირაკლი აბაშიძე ავლაბ-
რის არალეგალურ სტამბასთან.

ალექსანდრე ტვარდოვსკი. ნიკოლოზ დო-
რიზო. ნელი აბაშიძე და ირაკლი აბაშიძე.











მიხეილ შოლოხოვი, ვახტანგ აბაშიძე და
ირაკლი აბაშიძე 1961 წ. წყნეთი.

კონსტანტინე გამსახურდია, ირაკლი აბაში-
ძე და შალვა დადიანი. 1957 წ.

დავით კუგულტინოვი, ირაკლი აბაშიძე და
ჯანსულ ჩარკვიანი 1978 წ. მთაწმინდა

რასულ გამზათოვი, ირაკლი .აბაშიძე და
ნოდარ დუმბაძე. 1974 წ



გამოჩენილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ რედაქტორს ირაკლი აბაშიძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

„დროშის" სარედაქციო კოლეგია, რედაქციის კოლექტივი მხურვალედ ულოცავს ჟურნალის უახლოეს თანამშრომელს ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს და უსურვებს მრავალ შემოქმედებით გამარჯვებას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

# ირაკლი აბაშიძე 70

## მეგობრები ულოცავენ

### ქვირფასო ირაკლი!

აჰა, შენც შეგისრულდა სამოცდაათი... ვერ დავიჯერებ! შენ ჩემთვის ისევ ის ჭაბუკი ხარ, ამ ნახევარი საუკუნის წინ რომ გნახე პირველად. შენს პოეზიას, შენს გულმხურვალე სიყვარულს მამულისადმი, ხალხისადმი სიბერე არ უწერია!

იარე, ჩემო ირაკლი, დიდხანს, იარე შენთვის ჩვეული გრძელი, მხნე ნაბიჯებით ამ ჩვენს მიწაზე, ისაქმე, ილვაწე დიდხანს შენი ერის, ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

ვერიკო ანჯაფარიძე

გამოჩენილი ქართველი პოეტის ირაკლი აბაშიძის შემოქმედებას დიდი ადგილი უჭირავს ჩვენს ეროვნულ საგანძურში. მისი ფრთიანი ლექსები გაისმის ჩვენი ქვეყნის კუთხიდან კუთხემდე. არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ქართველი ერის ცხოვრებაში, იგი თავისი მაღალი პოეზიით რომ არ შეხმიანებოდა. ბატონი ირაკლი ჩვენი სამშობლოს დაუღალავი მომღერალია. მრავალი მუსიკალური ნაწარმოები შეიქმნა და იქმნება მის ლექსებზე.

მე, როგორც კომპოზიტორი, ბევრ მის ლექსს შევჭიდებივარ — ზოგს მოვერიე, ზოგს ვერა. ირაკლი აბაშიძის პოეზიასთან

### ძმაო ირაკლი!

70 წელი შეგისრულდა! როგორ გარბიან წლები. აკი თითქოს გუშინ ვიზეიმეთ შენი ორმოცდაათი... გილოცავ! ვაი იმას, ვისაც დღეგრძელობა არ უწერია, ვაი იმას, ვინც უკვალოდ წავა ამ ქვეყნიდან.

ჩემო ირაკლი! შენ შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის მანძილზე ბევრი რამ გააკეთე მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისათვის. დიდია შენი დამსახურება მშობლიური ლიტერატურის წინაშე, შენი ერის წინაშე. სიამოვნებით ვიგონებ ჩვენს ყოველ შეხვედრას . მუდამ გულით ვატარებ შენს სიყვარულს. იყავი ჯანმრთელი, გისურვებ ჭაბუკურ სიმხნევეს, ახალ წარმატებებს და შემოქმედებითი ცხოვრების მრავალ წელს, ჩვენი ხალხის, პარტიის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს სადიდებლად.

ლადო გუდიაშვილი

შეხვედრა ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მის ლექსებზე შექმნილი „მელის ვარძია" (საგუნდო პოემა ორკესტრთან ერთად), „ოდა მესხეთს", „მთები" (ვაჟთა გუნდისათვის), „შორეული შხელდა" (ვაჟთა გუნდისათვის), „გაზაფხულდა" (ქალთა გუნდისათვის) ჩემი უსაყვარლესი ნაწარმოებებია.

დიდი მადლობა მინდა მოვახსენო პოეტს და ვუსურვო ასე ახალგაზრდული ენერგიით ემოღვაწეოს ჩვენი ხალხის საბედნიეროდ.

რევაზ ლაღიძე

ორმოციანი წლების მიჯნასთან როცა ირაკლი აბაშიძეს შევხვდი, მის ლექსებში ისე ძალუმად გიზგიზებდა ჭაბუკური ცეცხლი, ვერც წარმოვიდგენდი, ოთხმოციანი წლების ზღურბლთან მდგარ დაბრძენებულ და დადინჯებულ პოეტს. მაშინ ჩინებულ ლექსში „მამა" გულისტკივილით, მაგრამ მხნედ მიუძღვებოდა ის წინ ბრმა მშობელს, ახლა კი, სამოცდაათი წლის პოეტი სევდიანად მიმართავს უკვე იმქვეყნად მყოფ მამას, მაგ ქვეყანაში რომ მოვალ, შენ უნდა გამიძღვე წინო. ამას უკვე მრავალ ქარტეხილგამოვლილი, რუსთაველის ნაკვალევზე ქედუხრელად მოარული, დაბრძენებული და მრავალ ადამიანურ საწუთისოფლო თუ სამამულო საკითხებზე ღრმად ჩაფიქრებული პოეტი ამბობს.

პირადად მე ბევრჯერ გავმთბარვარ ირაკლი აბაშიძის მზრუნველი ადამიანური გულით და ამისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ მას.

გულითადად ვულოცავ ჩვენი დროის გამოჩენილ პოეტს ირაკლი აბაშიძეს დაბადების სამოცდაათი წლისთავს და ვუსურვებ კიდევ დიდხანს ეზიდოს პოეზიისა და მამულის მისეული მძიმე ჭაპანი.

ლადო სულაბერიძე



აკაკი შანიძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრებისას. 1904 წ.

# მოგონებანი

აკაკი შანიძე

1897 წლის მაისში დავასრულე ჩემი სოფლის ნოლის სამრევლო სკოლა, რომლის ერთად-ერთი მასწავლებელი იყო მღვდელი ვლადიმერ კანდელაკი, კაცი პატიოსანი და კეთილშობილი, და იმავე წელს აგვისტოს ბოლოს (მაშინ თვეებს ძველი სტილით ვანგარიშობდით) სწავლის განსაგრძობად წამიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელშიც უმთავრესად სასულიერო წოდების პირთა შვილები სწავლობდნენ. მამაჩემი გაბრიელი მედავითნე იყო ჩვენი სოფლის წმ. გიორგის ეკლესიაში. ჩემი უფროსი ძმები (ნოე, მელქისედეგ, მოსე) სწავლობდნენ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, გურიაში (ოზურგეთს ამჟამად მახარაძეს ვეძახით), მე კი ქუთაისში გამგზავნეს. მამაჩემი მაშინ ავად იყო და მე წამიყვანა ბიძაჩემმა ერმალომ, რომელიც აგრეთვე მედავითნე იყო რიონის პირას მდებარე სოფელ ქორეისუბანში. ჩემთან ერთად მოჰყავდა თავისი შვილი ბიქტორი, რომელიც იმავე სასწავლებელში უნდა მიებარებინა. ბიქტორი ოდნავ ჩემზე უფროსი იყო, დაახლოებით ექვსი თვით.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი მოთავსებული იყო ე. წ. გორაზე, მის აღმოსავლეთით მდებარე შენობაში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევების სამხრეთით. იგი ფერდობზე იყო აგებული და ქვემოდან (სამხრეთის დაბალი მხრიდან) სამ-სართულიანი იყო, ზემოდან კი (ჩრდილოეთის მაღალი მხრიდან) ორ-სართულიანი. აქ მე ვსწავლობდი 1897 — 1904 წლებში. სასწავლებელი შედგებოდა ოთხი კლასისაგან, რომელსაც სამი მოსამზადებელი კლასი ჰქონდა; სულ შვიდ-წლიანი სკოლა იყო.

სკოლაში მოსახვედრად (პირველ მოსამზადებელ კლასში შესასვლელად) საჭირო იყო გამოცდების ჩაბარება, რაც მე ადვილად შევძელი. თურმე პირველი მოსამზადებელი კლასი დამატებით იყო დაარსებული სამეურნეო ხარჯებზე და შემსვლელს ევალებოდა 15 მანეთის შეტანა, რომლის ნახევარი თავიდანვე უნდა ყოფილიყო გადახდილი, მეორე ნახევარი კი — მეორე სემესტრის დასაწყისში. ჩვენ ეს არ ვიცოდით. რომ მოგვთხოვეს, შვიდ მანეთ-ნახევარი წარმოადგინეთო, ბიძაჩემმა განუცხადა: ფულის გადახდის ამბავი არ ვიცოდითო, ახლა არა გვაქვს და შემდეგ მოგართმევთო.

— არა გაქვთ და ბავშვი არ ჩაირიცხებაო, უპასუხა გამომცდელმა (ვითქო კობახიძე იყო) და სიაში წამშალა. ამის დანახვაზე ბიძაჩემი უკმაყოფილო გახდა და მკვახედ უთხრა: წაშალე, თორემ შენზე ნაკლები კაცი გამოვაო! ამის გაგონებაზე მე ძალიან შემეშინა. მერმე ბიძაჩემმა მოახერხა, რომ ფული ეშოვნა ქუთაისში (ასესხა ჩვენმა ნათესავმა რაჟდენ კანდელაკმა) და შეეტანა. ამის შემდეგ მე და ჩემი ბიძაშვილი ბიქტორი ჩაგვრიცხეს პირველ მოსამზადებელ კლასში. სასწავლებელში (ყველა კლასისთვის) იყო ორი განყოფილება: ნორმალური და პარალელური. მე პარალელურში მოვხვდი.

სასწავლებელში სწავლა რუსულად იყო, მაგრამ ქართულიც ისწავლებოდა. უცხო ენათაგან ისწავლებოდა (მეორე კლასიდან) ძველი ბერძნული, დაწერილობის ბიზანტიური გამოთქმით.

წერას გვასწავლიდა პირველ მოსამზადებელ კლასში რაფიელ ჩიხლაძე, რომელმაც ერთხელ დამინახა, რომ კალმისტარი მაგრად მეჭირა თითებში, მოვიდა და კალმისტარზე ლონივრად გამკრა.

რასაც პირველ მოსამზადებელ კლასში გვასწავლიდნენ, უკვე სოფლის სკოლიდან ვიცოდი და ამიტომ არც ინტერესი მქონდა სწავლისა. ერთხელ გაკვეთილზე ფანჯრიდან გარეთ ვიცქირებოდი. მოვიდა მასწავლებელი ფილიმონ რეხვიაშვილი და მაგრად გამარტყა ყბაში. პირველი მოსამზადებლიდან მეორე მოსამზადებელში მე მეორე მოწაფედ გადავედი, პირველი იყო შალვა სანიკიძე, შემდეგში ეკონომიური გეოგრაფიის დოცენტი თბილისის უნივერსიტეტში. მომდევნო წლებში კი მე ვიყავი პირველი მოწაფე, სანიკიძე კი — მეორე.

ქართულის მასწავლებელი იყო ანდრია ბენაშვილი, ქიზიყელი, რომელიც ტკბილი ადამიანი იყო. მან საინტერესო ამბების მოყოლა იცოდა და მოსწავლეებს ძალიან გვიყვარდა.

სხვათა შორის, გვასწავლიდნენ საეკლესიო გალობას (გვასწავლიდნენ, მაგ., „უფალო ღაღადვყავ-“ს სხვადასხვა ხმაზე). გალობის მასწავლებელი იყო დიაკონი რაჟდენ ხუნდაძე, ძმა ცნობილი პედაგოგის სილოვან ხუნდაძისა. მან ერთხელ მოსწავლეები გაიძახა, გამოსცადა და, რომ არ მოეწონა მათი გალობა, გავარდა და დაიძახა: კაცმა უნდა ნავთი გადაგასხას ყველას, ცეცხლი გაგიჩინოს და ამოგბუგოსო. მაგრამ ამასობაში თვალი მომკრა და დაუმატა: შანიძის გარდაო.

სასწავლებელთან არსებობდა ბიბლიოთეკა, რომლის გამგე იყო მასწავლებელი დათოშვილი. ამ ბიბლიოთეკით მეც მისარგებლია.

კვირას და უქმე დღეებში ეკლესიაში დავდიოდით წირვაზე. ერთი პატარა ეკლესია მიშენებული იყო ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე სამხრეთიდან შესავალ კართან. აქ წირვა სლაურად სრულდებოდა და მგალობელთა გუნდს, რომელიც მოწაფეებისაგან შედგებოდა, ხელმძღვანელობდა დანიელ ქინქლაძე (ახლანდელი განათლების მინისტრის ოთარ ქინქლაძის მამა), რომელიც მაშინ ქუთაისის სემინარიაში სწავლობდა. მედავითნის როლს მოსწავლეები ვასრულებდით, ხოლო მღვდლად იყო ცაგარეიშვილი, რომელიც სასწავლებელში სალვთო სჯულს გვასწავლიდა. რადგანაც ამ ეკლესიაში მოწაფეები არ ეტეოდნენ, ამიტომ ნაწილი (უმთავრესად მოსამზადებელი კლასებიდან) წმ. გიორგის ეკლესიაში დაჰყავდათ, რომელიც იმავე გორაზე იდგა, სასწავლებლიდან თითქმის ერთი კილომეტრის დაშორებით. აქ წირვა-ლოცვა ქართულად სრულდებოდა.

აი რას მატყობინებს გრიგოლ ბოჭორიშვილი, რომელიც სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა ჩემს დროს: „ეკლესიაში დაჩოქილები ვართ. მომესმა ზურგს უკან ისპენქტორ კალტიპინის ხმა: **Табидзе, стань на колени!** — გალაკტიონი არც შეინძრეულა, თითქოს არც გაუგონიაო. რამდენიმე წამის დაყოვნების შემდეგ დაჩოქილები წამოდგნენ. ასე აიცილა დაჩოქვა გალაკტიონმა“.

სასწავლებლის გვერდით იყო დიდ-ეზოიანი სახლი იმერეთის ეპისკოპოსისა. ეზოში დიდი კაკლის ხეები იდგა. რომლებიც ეპისკოპოსმა (მგონია ლეონიდემ) დააჭრევინა და მათ ნაცვლად წიწვიანები დაარგვევინა, რაც ბევრმა არ მოუწონა. ერთხელ ეპისკოპოსი გვეწვია სასწავლებელში და გაკვეთილს დაესწრო.

ეპისკოპოსი რომ ოთხ-ცხენიანი ეტლით დაეშვებოდა კვირას და უქმე დღეებში საწირავად საკრებულო ტაძარში, რომელიც ქალაქის ცენტრალური ბაღის („ბულვარის“) თავში იდგა მოედანზე, ახლანდელი თეატრის მახლობლად, მორთავდნენ ზარების რეკას და, ეტლი რომ მიუახლოვდებოდა ტაძარს, ზარების რეკას მოუხშირებდნენ და ხმასაც მოუმატებდნენ ზარის ენის მაგრად შემორტყმით. ამ ტაძარში („სობოროში“, რომელიც კაი ხანია აღებულია და დღეს აღარ არსებობს), მგალობლების გუნდის უმრავლესობა სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებისაგან შედგებოდა. მათ შორის მეც ვერიე. გუნდის ხელმძღვანელი („ლოტბარი“) იყო კორნელი მაღრაძე, რომელიც გუნდს წვრთნიდა „სპევკების“ დროს თავის ბინაზე. ერთ ხანობაზე მე ერთი სამ „ისპოლაჩიკ“-თაგანი ვიყავი, ე. ი. იმათგანი, რომლებიც, საეკლესიო ტანისამოს-გადაცმულნი, ეპისკოპოსს წირვაზე „ის პოლლა ეტი დესპოტა“-ს ვუგალობდით (ბერძნული სიტყვებია, ნიშნავს: „მრავალჟამიერ, ბატონო“). მგალობლებს შობა-ახალწლისა და აღდგომის არდადეგებზე შინ, სოფელში მშობლებთან, არ გვიშვებდნენ, რადგანაც ქუთაისში ვიყავით საჭირო საგალობლად, სამაგიეროდ ტანისამოსს გვიკერავდნენ. გვიკერავდა კ. მაღრაძის ცოლი ლიზა.

ეს გუნდი შობის წინა ღამეს (შობის დღესასწაული 25 დეკემბერს მოდიოდა ძველი სტილით) საალილოოდ დადიოდა ზოგიერთ ოჯახში და მიულოცავდა ხოლმე გალობით. მაშინ მიღებულ ფულად საჩუქარს კ. მაღრაძე შემდეგ მგალობლებს გვინაწილებდა. მახსოვს, ერთხელ საალილოოდ ვეწვიეთ ისტორიკოსს თედო ჟორდანიას.

სასწავლებლის მეთაურები თვალყურს ადევნებდნენ მოსწავლეების ყოფაქცევას ბინებზე. ხშირად დადიოდნენ საღამოს საათებში და ამოწმებდნენ, ვინ როგორ ცხოვრობს, როგორი სასმელ-საჭმელი აქვს და როგორ ლოცულობს. ერთ ბინაზე მცხოვრებ მოსწავლეებს გვევალებოდა საერთო დღიურების წერა და აღნიშვნა, თუ რას ვჭამდით. ჩვენი საჭმელი იყო დილით პურის ნაჭერი. სადილად მჭადი და ლობიო, ზოგჯერ ხორცის სუფი. აფსუს, რომ ეს დღიურები არ შემომრჩა! ბინისა, სასმელ-საჭმლისა და სარეცხისთვის ხუთ მანეთს ვუხდიდით დიასახლისს. ჩემი ძმები ოზურგეთში სამ-სამ მანეთს იხდიდნენ.

მახსოვს ზოგიერთი ეპიზოდი სასულიერო სასწავლებლის ცხოვრებიდან. ერთხელ ივანე გაფრინდაშვილმა (ცნობილი პოეტის ვალერიანის მამამ, რომელიც მაშინ ინსპექტორი იყო), სასწავლებლის ეზოში წამავლო ხელი, მაგრად დამარხია და მითხრა: რატომ კაი ტანისამოსი არ გაცვიაო? — არა მაქვს-მეთქი, ვუპასუხე.

ერთხელ, სასწავლო წლის დასასრულს, გამოცდები გვქონდა რომელიღაც საკლასო ოთახში, რომელიც მესამე სართულზე (ზემო მხრიდან მეორეზე) იყო მოთავსებული. მოსწავლეს რომ გამოსცდიდნენ, მას ოთახი უნდა დაეტოვებინა და გასულიყო. ვიღაც ჩაიჭრა გამოცდებზე. მან სადღაც იშოვა ბოქლომი, მოიტანა, დაადო ჩვენი საგამოცდო ოთახის კარებს კორიდორის მხრიდან და ჩაგვკეტა. შემდეგ რომ გამოიცადა მოსწავლე და დასჭირდა გარეთ გასვლა, კარები გარედან ჩაკეტილი დახვდა. და ველარ გავიდა. გამომცდელებს შორის ერია ერთი რუსი მასწავლებელი, რომელიც ძალიან შეშინდა და ფერი ეცვალა. იძულებული გახდნენ ,მოეყვანათ ზეინკალი, რომელმაც ბოქლომი გაქლიბა და კარები გაალეს.

სასწავლებლის უფროსი („ზედამხედველი“. **смотритель** ცხოვრობდა სასწავლებლის შენობის დასავლეთ გვერდზე მიდგმულ ბინაში, მეორე სართულის გასწვრივ, ეპისკოპოსის ეზოსთან, ხოლო ინსპექტორ კალტი-პინს **Калтыпин** ბინა ჰქონდა მოწყობილი თვით სასწავლებლის შენობაში, მეორე სართულზე, კორიდორის სამხრით. ერთხელ რამდენიმე მოწაფემ მოინდომა ამ კალტიპინის გამოწვა მის ბინაში, რადგანაც ის შავრაზმელად და ქართველების მოძულედ ითვლებოდა. ერთ ღამეს მათ იშოვეს ნავთი, წაილეს ქაღალდები და ცეცხლი გააჩინეს პირველი სართულის მეორე მოსამზადებელ კლასში, რომლის თავზე კალტიპინი ცხოვრობდა. ორი მოსწავლე ცეცხლს აჩენდა და სამი კი ყარაულებად იდგნენ სასწავლებლის შენობის გარშემო. როცა ცეცხლი დაინთო და იქაურობა განათდა, ყველანი იქაურობას მოსწყდნენ და თავ-თავის ბინებს მიაშურეს. კვამლი ავარდა მეორე სართულამდე და მისმა სუნმა კალტიპინი გამოაღვიძა. იგი სასწრაფოდ ჩავიდა ძირს და დამწვარ რვეულებში ორი მოსწავლის გვარი ამოიკითხა და მაშინვე გაეშურა მათ ბინაზე შესამოწმებლად, მაგრამ მათ თავი მოიმძინარეს. ინსპექტორმა ვერავითარი საბუთი ვერ იპოვა მათ და მათი ამხანაგების დასასჯელად და ამით ამოიწურა ეს საქმე.

სასწავლებელში მკაცრი დისციპლინა იყო. შემდეგ რომ გიმნაზიაში გადავედი, გამიკვირდა, თუ რამდენად თავისუფლად გრძნობდნენ თავს გიმნაზიელები სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებთან შედარებით.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლებელში არ იყო არც ერთი მასწავლებელი, რომ მოსწავლეებისთვის აეხსნათ ისტორიული ძეგლების მნიშვნელობა და ზრუნვა მათ შესახებ. იქვე სასწავლებელთან იყო ნანგრევები ბაგრატის ტაძრისა, მაშინ ძალიან მიუვლელი. მის შიგნით აღმოსავლეთის მხარის ერთ კუთხეში მოკალათებული იყო მათხოვარი გოგია. არავის არაფერი უთქვამს ამ ტაძრის შესახებ, არც იმ ციხის შესახებ, რომელიც ამ ტაძრის გვერდით არის აღმოსავლეთის მხარეს, არც გელაითს შესახებ, რომელიც დიდად შორს არ არის ქუთაისიდან და სხვა.

სასწავლებლის შენობის გვერდზე, იქვე მახლობლად, აღმოსავლეთით, ცხოვრობდა თავის სახლში ვინმე აბრამიშვილი, რომლის ვირი ერთხელ შესულა სასწავლებელში ზემო მხრიდან, გაუვლია კორიდორი და შესულა ოთახში, რომელშიც მეოთხე (უკანასკნელი) კლასი იყო მოთავსებული, შემდეგ გზა დაბნევია, იქიდან ვერ გამოსულა და დაუყროყინებია. ეს ამბავი შემდეგ გავრცელებულა და ვინმე რომ დაიკვეხნიდა, ოთხი კლასი გავათავეო, ხუმრობით უპასუხებდნენ: აბრამიშვილის ვირმაც კი გაათავა ოთხი კლასიო.

1904 წ. ქუთაისის სასულიერო სემინარიაში დიდი არეულობა მოხდა, რის გამოც სემინარია დახურეს და მისი მოსწავლეები სხვადასხვა სემინარიაში გადაიყვანეს (თბილისში, სტავროპოლში და სხვაგან). ჩემი ძმა მოსე, რომელიც ამ დროს ქუთაისის სემინარიაში სწავლობდა, თბილისში გადაიყვანეს. მე რომ სწავლა დავასრულე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში 1904 წელს პირველ მოწაფედ, რეკომენდაცია მომცეს თბილისის სემინარიაში გამოცდების ჩასაბარებლად და სწავლის განსაგრძობად. მაგრამ მე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ჩავაბარე გამოცდები და მიმიღეს მესამე კლასში. სხვათა შორის, გამოცდები ჩავაბარე ბუნებისმეტყველებაში და გერმანულსა და ფრანგულ ენაში. რომლებშიც მასწავლებელი არ მყავდა და მე თვითონ ვემზადებოდი.

სასულიერო სასწავლებელი ერთი უძველეს სასწავლებელთაგანია ქუთაისში. საბჭოთა ხელისუფლების დროს იგი იქცა ქუთაისის მეექვსე საშუალო სკოლად. ეს სკოლა ამჟამად ახალ სამ-სართულიან შენობაშია მოთავსებული, რომელიც იმავე გორაზე ააშენეს ჩანჩიბაძის ქუჩაზე.

# ქორწილი ფრთებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ იაროვსკი

უკრაინა

მოთხრობა

ფანჯარასთან ბატები ყიყინებენ, ალბათ, ჭამა უნდათ და დაბალი ბრინჯით სავსე ჯამისკენ მიიჩქარიან. იციან, რომ ქათმები მათზე ადრე ადგნენ, ყველაფერი აჰკენკეს, მაგრამ ბატები მაინც მიეშურებიან. მალე აწკრიალდა ტაშტი, ბატებმა რომ ჩაქუჩივით დაუშინეს ბრტყელი ნისკარტები. ერთი მაინც ყველაზე ხმიანად ურტყამდა. ეს მამალი ბატი იყო. ცოტა როდი იცხოვრა ამქვეყნად. უნდა მიხვედრილიყო, რომ ცარიელი ტაშტიდან ვერაფერი გამოდნებოდა. ის კი, სულელი, მაინც ურტყამდა და ურტყამდა.

ბოლოს, ბატებმა ტაშტი გადააბრუნეს, დაატყაპუნეს ბრტყელი ფეხები და ეზოში გაგოგმანდნენ. ახლა ჭიშკართან ჩასხდებიან, ძელს ქვემოთ გაძვრებიან და გუბურისაკენ გასწევენ.

სიჩუმე დასადგურდა.

უნდა ავდგე. მერედა, როგორ ცივა ოთახში. ბატებს რა უჭირთ ჩაცმულებს სძინავთ. მე კი გათოშილ შარვლის ტოტში უნდა ვტკუცო ფეხი. ხალათიც ყინულივითაა. გული სიცივით მეკუმშება.

კატამ უკვე ისკუპა ლოგინიდან. მთელი ღამე ჩემს ფეხთით ეძინა. დავწვები თუ არა, მომიცუცქდება, კნავის, მელაქუცება, რომ ღამის გასათევად შევიფარო. გათენდება და მაშინვე მოუსვამს.

დედაჩემი ალბათ ახლა ძროხას წყემსავს კბოდესთან. ყოველთვის იმ ადგილას მწყემსავს ხოლმე, სანამ ნახირში გააგდებს. უნდა ავდგე და რძე „დამზადებაში“ წავიღო ბიდონით.

შარვალს რომ ვიცვამ, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ტბის ცივ წყალში ჩაგიდგამს ფეხი. ახლა ხალათიც მაქვს ჩასაცმელი. ტანზე ისე მეკრობა, თითქოს მამოწმებს, ნამდვილად მე ვარ თუ არა. მალე დარწმუნდი, შე ოხერო, თორემ სულ მთლად გავითოშე!

მართლა, დღეს ხომ შინ მარტო დავრჩი. ძროხაც მე უნდა გავაგდო ნახირში. დედაჩემი ხომ ძია ალექსისთან ერთად ბაზარში გაემგზავრა. დღეს მათ ქორწილი აქვთ. ძია ალექსი ჩვენთან გადმოვა საცხოვრებლად. გადმოვიდეს. ჩვენს სახლში სამყოფი ადგილია. ზედმეტი ბალიშიც გვაქვს. შემიძლია საწოლიც დავუთმო. მე ღუმელზე დავიძინებ კატასაც იქ გამოვუძებნი ღამის გასათევ ადგილს.

ალექსი ძიას ცოლი გაუფრინდა. დიახ, გაუფრინდა. მთელი სოფელი კარგახანს ჭორაობდა ამაზე, მაგრამ მერე თანდათან მიჩუმდნენ.

ჩვენს სოფელში ქარხლის შესაწამლად „კუკურუზნიკი“ გამოგზავნეს. მფრინავებს ქამარშემორტყმული კურტაკები ეცვათ. ორივე ლაზღანდარა იყო. ერთი-სუსტი, გამხდარი, მიწისთვის მსუბუქიდა ალბათ, თვითმფრინავისთვისაც მჩატე; მეორე კი — მსხვილი, მსუქანი. როცა იცინოდა, წითელი ღრძილები მოუჩანდა. ორივე მფრინავს პლანშეტი ჰქონდა, რომლის ყვითელ ქარსში კარგად მოჩანდა ჩაკეცილი მანეთიანები და სამმანეთიანები. გრძელ სიგარეტებს ეწეოდნენ და ისეთ მოზრდილ ნამწვავებს აგდებდნენ, რომ პაპა თედორე კრეფდა და ინახავდა.

დეიდა განკა, ძია ალექსის ცოლი, მფრინავებისათვის სადილს ამზადებდა და თვითონვე მიჰქონდა მინდორში. რამდენჯერ ვთხოვე, მე წავუღებ-მეთქი, არც წვნიანს დავღვრიდი და ქურჭელსაც არ გავტეხავდი, მაგრამ არადა არა, მე თვითონ წავუწებო, არ მანებებდა დეიდა განკა.

ერთხელ დეიდა განკა თვითმფრინავში ჩასვეს და ცაში გაასეირნეს. თვითმფრინავი სოფელს ისე დაბლა დასტრიალებდა, კლუბის თავზე ლამის კვამლსადენ მილს წამოედო, მერე ფერმებს გადაუფრინა. დეიდა განკა ცხვირსახოცს გვიქნევდა თვითმფრინავიდან. ძია ალექსის ტრაქტორსაც გადაუქროლეს.

მფრინავები რამდენიმე დღეში მორჩნენ თავიანთ საქმეს. დეიდა განკამ კვლავ მიართვა სადილი და ერთი ბოთლი სასმელი.

თვითმფრინავი ცაში ავიდა. შევნიშნეთ დეიდა განკა როგორ გვიქნევდა იქიდან ცხვირსახოცს. ყველამ იფიქრა, რომ მფრინავები გამომშვიდობებისას ერთხელ კიდევ ასეირნებენო. ძია ალექსი ტრაქტორიდან უქნევდა ქუდს, ანიშნებდა: გხედავ, განკა, გხედავო...

თვითმფრინავმა ერთხელ კიდევ დაუარა სოფელს და რაიცენტრისაკენ გაფრინდა. ახლა ის იფიქრეს სოფლელებმა, მფრინავებმა განკას მთელი რაიონი უნდა აჩვენონ ზემოდანო. დაღამდა. სადღა იყო დეიდა განკა. ვიღაცამ თქვა, ადვილი შესაძლებელია თვითმფრინავი დაიმტვრაო. ძია ალექსის კარზე მიჩხაპნილი წარწერა დახვდა: „ალექსი, ნუ დამელოდები, ასე შენ უფრო ბედნიერი იქნები“.

თავმჯდომარემ ოლქში დარეკა. უთხრეს, რომ თვითმფრინავი მშვიდობიანად დაუბრუნდა თავის ადგილს. ამის შემდეგ ძია ალექსის „ცა მაოცებს“ შეარქვეს. ამას კარგახანს ამბობდნენ, მაგრამ მერე მიჩუმდნენ. მოგვიანებით ერთ ჩვენს სოფლელს განკა სადგურში შეხვედრია. დეიდა განკა ნაყინს ყიდდა თურმე

დროა ძროხა ნახირში გავაგდო, თორემ ვერაფერს მოვასწრებ.

ბოსელთან ნაცრის მთელი გორა იყო დახვავებული. ნაცარი ჯერ კიდევ ცხელია, ქათმები განზე უვლიან. გუშინ ჩვენი საზაფხულო ღუმელი მთელი დღე ღუღუნებდა. გუშინვე მომზადდა ყველაფერი საქორწინოდ. სტუმრებიც დავპატიჟეთ. მოპატიჟე მე ვიყავი. ჯერ ხომკასთან გავიქეცი, გარმონით რომ მოსულიყო. შემპირდა, მოვალო. ცერი თითი ჩაჩეჩქვილი ჰქონდა, პოლკა შეიძლება ვერ დაეკრა, მაგრამ ვალსსა და ტანგოს როგორმე მოაჭახრაკებდა.

ესე იგი, ხომკა გარმონით მოვა.

მთელი დღე დავრბოდი კარიდან კარზე. ზოგან უხერხულად იმმუშნებოდნენ, არაფერს სვამ კამფეტიც არა გვაქვს, რით გაგიმასპინძლდეთო. ზოგი მეკითხებოდა, ძია ალექსი დედის გამოსასყიდს თუ გაძლევსო.

ბებია დუნიამ თაფლაკვერი მომცა, ამოიოხრა, ზეცას ახედა და თქვა:

— წელს ღმერთი გვწყალობს, ქარხლის შესაწამლად არ მოფრინდებიან...

ძალიან განვიცდი, ყველა დაპატიჟებული უკლებლივ რომ მოვიდეს. არ მინდა ძია ალექსიმ და დედაჩემმა ჩემზე იფიქრონ, ცუდი მოპატიჟეაო.

პირველად ქორწილში ჩვენი ძველი თელა გვესტუმრა. დიახ, თელა, რომელიც ეზოში დგას. სწორედ მის ქვეშ იყო გაშლილი მაგიდები და შორიდან ისე მოჩანდა, თითქოს თელა მივიდა მაგიდასთან და დგას, ელის, როდის მოიყრიან თავს სტუმრები.



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

ძია ალექსი და დედაჩემი სასტუმრო ოთახში ხადლესასწაულოდ ირთვებოდნენ.

იმ დღეს ძროხა არ გავდევნე ნახირში — თივა მთვუყარე. განგებ შევარჩიე მწვანე და ნოყიერი, რომ მასაც ეგრძნო ქორწილი. თუმცა ამას ისედაც გაიგებდა, როცა გარმონი აწრიპინდებოდა.

ბელურები მაგიდაზე დაფრინავდნენ. ვინ მოგიწვიათ, ონავრებო? ერთმა პურს ჩაუნისკარტა, მეორემ — ნამცხვარს, იქნებ სასმელიც ნებავთ?! მაგრამ ბოდიში, ფიალაში დასხმული რომ არ იყო, პირდაპირ ბოთლიდან კი ვერ მოსინჯავდნენ.

დედაჩემი და ძია ალექსი რაღაცაზე იცინოდნენ. მე რომ არ მცოდნოდა, დედაჩემი სასტუმრო ოთახში იყო, მის სიცილს ვერც კი ვიცნობდი.

ჩვენი კატა თავის კნუტს დასტრიალებს. წელს ხუთი დაყარა, მაგრამ ერთი შევინარჩუნეთ მეზობლისათვის. სხვები დედამ გადაყარა. ზის ჩვენი მურკა, ზანტად იქნევს კუდს, კნუტი კი აკრობატივით ახტება კუდზე.

ჭიშკარმა გაიჭრიალა. ძია შულიმი მობრძანდა, ჩვენი სოფლის ფოტოგრაფი. ქორწილში, ნათლობასა და დაკრძალვაში მას არც კი იწვევდნენ. დაუპატიჟებლად მიდის ხოლმე. ყველგან თავისი სამფეხა აპარატი დააქვს. ჩვენთანაც დაუპატიჟებლად მოვიდა. ჩვეულებრივ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, იგი ყველაზე უწინ მიუჯდებოდა მაგიდას, გადასაკრავს გადაკრავდა, წაიხემსებდა და დაიწყებდა სურათების გადაღებას. იღებდა ჯგუფურად, წყვილ-წყვილად, სათითაოდ. როცა თავის საქმეს მორჩებოდა, საერთო მხიარულებაში მხოლოდ მაშინ ჩაებმებოდა. მოვიდა, მოგვესალმა, თავისი სამფეხა გაშალა და მაგიდის კუთხეში ჩამოჯდა. ფრჩხილები ბრინჯაოს კაპიკიანებს მიუგავდა. ბოლო დროს სურათების შეღებვა დაიწყო. ქალებსა და მამაკაცებს ნაქარგ საყელოებს უფერადებდა, ზოგს ჰალსტუხს მიუხატავდა გადაღეღილ საყელოზე. სამაგიეროდ, მეძვირე გახდა. ძუნწად ლაპარაკობს და სიტყვებსაც ამოკლებს.

— დღეს... ყველა უყურებს... მერე მოვლენ... — ამბობს ძია შულიმი, თითქოს ამას მე კი არ მეუბნება, თავისთვის ბუტბუტებს.

წავალ, ბატებს დავაპურებ, მათაც იგრძნონ ქორწილი, თორემ მერე მიმავიწყდება და მშივრები დარჩებიან.

მამალი ბატი გამომეხმაურა. მარცვალი დავუყარე, მაინც არ წამოდგნენ. მამალმა ბატმა დაწოლილმა ჩაუნისკარტა ცხვირწინ სამ მარცვალს და ისევ მილულა თვალები.

მაგიდისკენ გავიხედე, ხომკა უკვე მოსულიყო თავისი გარმონით და ძია შულიმის გვერდით დამჯდარიყო. ძია ალექსიც იქვე იყო თავისი ჭრაჭუნა ფეხსაცმელებით, რომელიც დედაჩემთან ერთად ბაზარში იყიდა.

ჭიშკართან ხმაური გაისმა.

—ფხბრთი გათავდა! — თქვა ძია შულიმმა.

ხომკა სწრაფად ეცა გარმონს, მაგრამ ღვედები აებლანდა და ვერაფრით გამოხსნა.

— მოდი, მომეშველე! — ისე დამიყვირა, თითქოს მანქანის ქვეშ ჩავარდნილი ქათამი იყო სწრაფად დასაკლავი. მაგრამ სანამ მე მივეხმარებოდი, ალექსი ძიამ დამასწრო, ხლართს დიდრონი ხელებით დასწვდა, გასწია და გაწყვიტა.

ხომკამ სტუმრებს ფერხთით დაუგდო ხალისიანი მარში. ქალები თითქმის მორბოდნენ, კაცებმა ერთმანეთს აუწყვეს ფეხი.

დედა პარმაღზე გამოვიდა და სიცილით მიეყდნო წირთხლს. ალბათ იმიტომაც მიეყრდნო, ჩვეული არ იყო მაღალქუსლიან ფეხსაცმელს. ძია ალექსიმ ურჩია, ქუსლები მოვაჭრათო. დედაჩემი ისედაც მაღალი იყო ძია ალექსიზე, მაგრამ ქუსლები დატოვეს.

შულიმმა შავი ნაჭერი გადაახურა და ხალხს თავისი აპარატი მიუმიზნა. მაშინვე შეწყდა სიცილი და ხმაური, დაავიწყდათ დედაჩემი და ძია ალექსი. ყველა შულიმს მიაჩერდა, თითქოს ის ყოფილიყოს აქ ყველაზე მთავარი.

ეზოში ნაფტალინის მკვეთრი სუნი დადგა. ასეა თითქმის ყველა ქორწილში. ეს სუნი დგას მანამდე, სანამ პაპიროსს არ მოსწევენ და თითოს არ გადაჰკრავენ.

ხალხი შულიმის წინ იდგა, დედაჩემი — ძია ალექსის გვერდით, მე კი — განზე. ულაყების განთქმული მკოდავი ძია ანტონი მარცხენა თვალით ელამი იყო. ამიტომ ცდილობდა ფოტოაპარატის წინ მარჯვნივ დამდგარიყო.

დეიდა ნასტიამ ტუჩები მოკუმა და ელოდა შულიმი როდის დააჩხაკუნებდა. პირი რომ ოდნავ მაინც გაეღო, იცოდა, მისი ჩასმული რკინის კბილები ფოტოსურათზე ძალიან შავად გამოვიდოდა.

— საშკა, რატომ გვერიდები? მოდი ჩვენთან! — გამიხსენა ძია ალექსიმ.

განგებ ნელა მივდივარ, არ ეგონოთ, თითქოს მოუთმენლად მინდა სურათის გადაღება.

ძია ალექსის უნდოდა ხელში ავეყვანე, მაგრამ რათა, მე ხომ პატარა აღარა ვარ. შუაში ჩავუდექი ძია ალექსის და დედაჩემს.

ხომკამ გარმონი გაწელა და ჩვენს წინ ჩაყუნტდა. ყველა საქორწინო ფოტოსურათში ასეა გამოსახული — გარმონი ისე აქვს გაწელილი, თითქმის ყველას უფარავს ფეხებს.

ძია ალექსიმ და დედაჩემმა ხელები მხრებზე დამაწყვეს. ისეთი ცხელი ხელები ჰქონდათ, დამცხა კიდეც. ძია შულიმი მოგვიახლოვდა და თავისი ბრინჯაოს ხელებით ერთმანეთს მიუახლოვა ძია ალექსისა და დედაჩემის თავი. მე კი ხელი არ მახლო, თქვა, რომ კარგად ვდგევარ.

შულიმს თავისი საქმე აფიქრებდა, ძია ალექსის — თავისი. ფოტოგრაფს უნდოდა, რაც შეიძლება მეტი სურათი გადაეღო, ძია ალექსი კი სტუმრებს მაგიდაზე ეპატიჟებოდა, თითო გადავკრათ და მერე ვისაც როგორ გინდათ, ისე გადაიღეთო.

ხომკამ გარმონი გაწელა. თითი ეტკინა და სახე დაემანჭა.

აჩხრიალდა დანა-ჩანგალი და ჯამები. დედაჩემი აფუსფუსდა. ძია ალექსიმ სირჩები ჩამოაწყო. აჭრიალდა სკამები.

დეიდა ადია თავისი ქმრის, ძია ანტონის მარცხნივ ჯდება. მას ხომ მარცხენა თვალი არა აქვს, ჰოდა, დეიდა ადია მოფარებულში იქნება და რამდენსაც უნდა, იმდენს გადახუხავს.

მაგიდას მიუჯდა სოფლის უცოლშვილო კაცი პარიკმახერი იაკობი. უხეში, ჩასკვნილი და მიხრამოხვრაში მძიმე. სამართებელს რომ აიღებს, იარაღი არც კი ჩანს, ხელში დამაბრმავებელი ათინათები ენთება. ძმაკაცები მასთან გასაპარსად მხოლოდ მაშინ მიდიოდნენ, როცა წვერი საკმაოდ წამოეზრდებოდათ და პარტორგისგან გაფრთხილებას მიიღებდნენ. სანამ საპარიკმახეროს მიაშურებდნენ, გულის გასამაგრებლად ცოტას გადაჰკრავდნენ.

იაკობი შორიდან ვერავის სცნობს. ამბობენ, ყველა მამაკაცის სახის ნაკვთი მან უკეთ იცის, ვიდრე მისმა ცოლმაო.

აი, ახლა მაგიდას უზის და ჩანგალი ისე უჭირავს, როგორც სამართებელი. მის გვერდით ბებია დუნია დასვეს. იგი ჯმუხ იაკობთან ნამცეცა გამოჩნდა. მისი ერთიციცქნა თავი ყაყაჩოსავით ირხეოდა მაგიდასთან.

იაკობი მამაკაცებს ისე უყურებს, თითქოს საპარიკმახეროშიაო. ხშირად ამბობს ხოლმე, მირჩევნია ორი კაცი გავპარსო, ვიდრე ერთი ხომკაო. ვითომ, მეც ძია თედორესავით ენამახვილი ვარო. ენამახვილმა ძია თედორემ კი ამოიჩემა: მთელი ყაზახეთის გადახვნა უფრო სწრაფად შეიძლება, ვიდრე ევდოკიას კუზიანი საბოსტნისაო.

ჭიქები შეავსეს. ქორწილი დაიწყო.

დედაჩემი ძია ალექსის მიუჯდა.

— საშოკ, მოდი, შვილო, დაჯექი ჩემს გვერდით! — მითხრა ძია ალექსიმ თბილი, ალერსიანი ხმით. მეც მივუჯექი.

შეავსეს თასები. ძია ანტონმა მეც დამისხა. ცალთვალა იყო და ვერ შემნიშნა პატარა ვიყავი თუ დიდი. რად მინდოდა ეს ცეცხლივით სასმელი?!

სტუმრებმა ერთმანეთს მჯიღი ჰკრეს, არა შენ თქვი რამე, არა შენო. მაგრამ ყველა დუმდა. თავები დახარეს და ელოდნენ, ვინმეს რამე ეთქვა.

— მოდი, საშკას გაუმარჯოს! — დაიძახა ძია ალექსიმ და მხარზე მომხვია ხელი.

— საშკას გაუმარჯოს, საშკას! — დაიყვირა ხომკამ, არაყი გადაჰკრა და გარმონით „მწვანე ჭვავი“ გასწელა.

— ცოტა მოსვი, საშკა, — მიჩურჩულა ძია ალექსიმ და გაიღიმა.

ხომკამ დაკვრა შეწყვიტა, გარმონი მოკეცა, გვერდზე გადადო და ჭამა განაგრძო.

და სწორედ ამ დროს ჩვენს თავზე წეროების ხმა გაისმა. ყველამ მიატოვა ჭამა, ხომკას გარდა. თვალები ცას მივაპყარით. ძია იაკობს ყელზე ხვანჩი უთამაშებდა, ჩანდა, ჩქარობდა ლუკმის გადაყლაპვას. ბებია დუნიას თავსაფარი კეფაზე გადაუცურდა და პირველად დავინახე, რომ მას დიდი შუბლი და ჭაღარა დალალი ჰქონდა.

წეროები კი ზედ ჩვენი ეზოს თავზე, მაღლა, მაღლა, ნელა მიცურავდნენ. მსუბუქმა ნიავმა დაქროლა. ეს ალბათ წეროების ფრთებით აღძრული ნიავი იყო.

ბებია დუნიამ თქვა, რომ ერთ წეროს ყელზე შავი ლაქა ეტყობაო. მაშინვე დაუჯერეს, რადგან იგი შორსმხედველი იყო — კაცს რამდენიმე კილომეტრზე სცნობს. იაკობი ამის გამო ხუმრობდა, დუნიას ერთი თვალი რომ მე მომცა, ჩემი კი დუნიას, საქმე კარგად იქნებოდაო.

ხომკამ მიატოვა ლეჭვა, თავი მაღლა ასწია.

მე მხოლოდ ბოლო ოთხ წეროს ვხედავდი, რადგან თელა მიშლიდა წინანი დამენახა. ჩუმად ავდექი მაგიდიდან. ძია ალექსიმაც წამოიწია ისე, რომ თვალი არ მოუშორებია ცისათვის. დედამ კი რატომღაც თავი დაბლა დახარა და თავის ხელებს დააჩერდა. ძია იაკობი სულ ერთია ვერაფერს ხედავდა და პირველად მან მოაშორა თვალი ცას. ისევ ჭამას შეუდგა.

ხომკამ ისევ გაწელა გარმონი. ახლა მან ვალსი „მანჯურიის მაღლობებზე“ წამოიწყო, რომელიც ძალიან უყვართ ქორწილებში.

დეიდა ადიამ ორი სირჩის გადახუხვა მოასწრო, სანამ ანტონი ცას შეჰყურებდა.

წეროები ეზოდან უკვე ცუდად მოჩანდნენ. ღობესთან ლოდზე რომ შევმდგარიყავი, იქიდან კარგად დავინახავდი.

მაგიდაზე ისევ ალიკლიკდა სასმელი. შეივსო თასები. ხომკამ გარმონი მიაჩუმა.

წეროები სოფელს გასცდნენ. იქნებ სავჩინის თავზეც იყვნენ უკვე, თითქოს მდინარის დინების საწინააღმდეგოდ მიცურავენო, ისე ნელა იძვროდნენ. ოდნავი ჩქამიც არ ჩამოდიოდა მათი. რატომ დუმხართ, წეროებო?! თქვენს ფრთებქვეშ ხომ ქორწილია! მათ ფრთებქვეშ, ალბათ, ბევრი ქორწილია. ალბათ, სხვაგან უკეთესია, ვიდრე ჩვენთან, სადაც ნეფეს არა ჰყავს მაყარი, დედოფალს მეგობარი ქალები და არც სასულე ორკესტრი უკრავს...

წეროები კი სალამოს მტრედისფერ ღრუბლებში გაუჩინარდნენ. მე დაძაბული ცქერით თვალები ამეწვა და ცრემლი მომერია.

ლაზათიანად ნასვამი ხომკა ძლივს ერევა გარმონს, საცეკვაო მელოდია რომ გამობერტყოს. თავი დააყრდნო გარმონს და შავი ქოჩორი მის ნაკეცებში ჩაუცვივდა. თავად ვითომ ცეკვავდა, ფეხებით მიწას ტკეპნიდა. მტვერი ააყენა.

ძია შულიმმა თქვა:

— დაღამდა, გადაღება აღარ... დალიეთ...

მართლაც, მოსაღამოვდა. თავები ჩაჰქინდრეს სმა-ჭამით მოღლილმა სტუმრებმა. ახლა ისინი თითქოს მიწას უმღეროდნენ. ხომკა დათვრა, მიავიწყდა თავისი ჩაჩეჩქვილი თითი, გატაცებით. უკრავდა. შულიმმა სამფეხა აკეცა, რომელიმე მთვრალი აპარატს არ დასჯახებოდა.

ბებია დუნია უცებ წამოიმღერებდა სიმღერას თეთრფაფრიან ცხენზე და თეთრპირსახიან ულამაზეს ქალიშვილზე.

მაღალი ძაბვის მავთულებზე, რომელიც ჩვენი ბოსტნის თავზე გადის, უკვე ჩამოჯდა ორი ვარსკვლავი. ისხდნენ ჩუმად და გაუნძრევლად.

მაგიდაზე ისევ ჩამოწვა სიჩუმე. თითქოს ყოველი მათგანი გონებაში არჩევდა სიმღერას, რომელიც დღეს ჯერ კიდევ არ უმღერიათ.

იაკობმა ერთი კიდევ გადაკრა, ოფლი მოიწმინდა თავისი დიდი ხელით, თავი შემართა და დაბალი, ხორხისმიერი ხმით დაიწყო.

ვუუ-ყუ-რებ ცაას და
ჩეე-მს ფიი-ქრებს ვფიი-ქრობ...

დიდრონი, მოკუმული მუშტები რიყის ქვებივით დაელაგებინა მაგიდაზე, ისე მძიმედ, რომ მაგიდა ჭრიალებდა. ბებია დუნია მჯიღს კრავდა, გაჩუმდიო, მაგრამ იაკობს რა გააჩუმებდა — რაც შეეძლო, აწამებდა თავის ხმას.

დეიდა ადიამ ველარ მოითმინა, მუშტი მაგიდას დასცხო, ჭურჭელი აჟღრიალდა, ცარიელი სასმისები გადაყირავდა. მაგრამ იაკობს მტკიცედ და შეუპოვრად გამოჰყავდა:

რიი-თ დაა-ვფრეე-ნთ ჩვეენ...

შულიმმა აპარატი მხარზე გაიდო და წავიდა. ძია ალექსი წამოდგა და სახლს უკან გასწია. დედაჩემმა ფეხსაცმელი გაიხადა და ფეხშიშველა გაჰყვა.

ეზოში კი ბლანტად ირხეოდა იაკობის სიმღერა. ყალბი ჰანგები ამოსდიოდა, ხანდახან წამოიყვირებდა კიდეც. აჩუმებდნენ, მჯიღს კრავდნენ, ბებია დუნიამ პირზეც დააფარა ხელი, მაგრამ მისი ყელის მტევანი ის[illegible] იაკობმა უკბინა და ბებია დუნია განზე გახტა.

სტუმრები ჩუმად გაქრნენ სიბნელეში, თითქოს ფეხის წვერებზე შემდგარნი გაიპარნენო.

მაგიდას მხოლოდ იაკობი შერჩა.

ის ორი ვარსკვლავი მაღლა-მაღლა წავიდა.

ბებია დუნიამ ხელი ჩამკიდა და თავის სახლში წამიყვანა. ქუჩაში მირბოდა და ძლივს მივდევდი.

— ახლა რა თავი დაჰკარგა... ასე გვიან მოიფიქრა ალექსის გაჰყოლოდა! — ოხრავდა და კვნესოდა სიბნელეში.

როცა შინ მივედით, სადღაც, სოფლის მეორე მხარეს, გარმონის ხმა გაისმა — ხომკა უკრავდა. დუნია წამოდგა, ფანჯარა მიხურა, ფარდები მისწიმოსწია, მაგრამ მუსიკა მაინც აღწევდა ქოხში.

მე თითქმის ყველა სიმღერა გამახსენდა, რაც კი დღეს ქორწილში მოვისმინე. მელოდია მელოდიას მისდევდა. იაკობის სიმღერის გახსენება კი არ მინდოდა.

მალე ჩამეძინა.

განთიადზე მალვიძარას ხმამ გამახელინა თვალი. დედაჩემის თბილი და ალერსიანი, საზეიმოდ გაბრწყინებული სახე დამყურებდა.

— დაიძინე, საშკა, დაიძინე! — მითხრა მან, — შენ წუხელ ძია ალექსიმ მოგიყვანა მძინარე. იგი ახლა საჩეხს ამოქლონებს, მე კი მინდორში მივდივარ. დაიძინე, საშოკ...

კედელზე მზის ათინათი ცელქ კურდღლებს ათამაშებდა.

ისმოდა ძია ალექსის ჩაქუჩის ხმა. რამდენჯერაც დაარტყამს, იმდენ წელს ვიცოცხლებ-მეთქი, ვფიქრობ და ვითვლი. ვითვლი დიდხანს. და რამდენადაც მეტს ვითვლი, იმდენად მეტი სითბოთი მევსება გული.

თარგმნა ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ.

# ᲕᲐᲟᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ

(დასასრული. დასაწყისი იხ. მე-4 გვ.).

რიელ მისრიაშვილმა. მეღორე როზა ბაიაშვილს, რომელიც 27 ქუფს უვლის და წელიწადში 15-16 გოჭს იღებს თითოეულზე, გადაწყვეტილი აქვს გაზარდოს ეს მაჩვენებელი.

მაღაროსკარელები ბუნების ნაბოძებ ყველა სიკეთეს იყენებენ. აქ წელს ტყეებში შეაგროვეს 400 ტონაზე მეტი ანწლი, მაყვალი, მაჟალო, პანტა, ასკილი, შინდი, რომელთაგან საკონსერვო ქარხნები ამზადებენ არომატულ წვენებს, ფარმაცევტული მრეწველობა — ძვირფას პრეპარატებს.

მაღალმთიან კოლმეურნეობაში მაღალი ანაზღაურებაა — კაცდღეზე საშუალოდ ხუთი მანეთი, კოლმეურნეთა საშუალო თვიური ხელფასი 120 მანეთს სჭარბობს, მოწინავე კოლმეურნეები თვეში 200 მანეთსა და მეტს ღებულობენ. ფარის უფროსმა მწყემსმა სოლომონ ნარიმანაშვილმა ერთ წელიწადში 2.800 მანეთი გამოიმუშავა, ალექსი ხატიაშვილმა — 2.500 მანეთი და ასე შემდეგ.

ამას ემატება კიდევ შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთიდან. კოლმეურნეებს პირად სარგებლობაში ჰყავთ პირუტყვი, კოლმეურნეობა მათ ეხმარება საკვებით, უფასოდ უწევს ზოოვეტმომსახურებას. ისინი დიდძალ ხორცს აბარებენ სახელმწიფოს და მაღალ საზღაურს იღებენ. მაგალითად, არხოტელმა ქორძო ნაროზაულმა 11 ტონა ხორცი ჩააბარა დამამზადებელ პუნქტს და 20 ათას მანეთზე მეტი მიიღო, 10-10 ტონა ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს სოფელ წინხადოსა და ჩხუბას მცხოვრებლებმა თოთია და მინდია არაბულებმა, შატილელმა ხორიელა ჭინჭარაულმა და დავით დაიაურმა.

ფშავ-ხევსურეთში ახლა ისე ცხოვრობენ, როგორზეც მათი მოჭირნახულე და წინამძღოლი ვაჟა-ფშაველა ოცნებობდა — შეძლებულად და კულტურულად. უმრავლესობას აქვს ორსართულიანი სახლი, თანამედროვე ავეჯი, მუსიკალური ინსტრუმენტები, შეიძინეს მსუბუქი ავტომანქანები, მშვენდება სოფლების საზოგადოებრივი ცენტრები. მაღაროსკარი კეთილმოწყობილ დაბას მოგვაგონებს. ახლა აქ შენდება კულტურის სახლი, ბარისახოში კი უკვე აშენდა, წელს სამუსიკო სასწავლებელიც გაიხსნა. გუდანში ახალმოსახლეობა იზეიმეს სათვალავით მეათე ორსართულიან სახლში, რომლებიც სპეციალური პროექტით აშენდა. ახალი საცხოვრებელი სახლები, ტურისტული ბაზა, სკოლა-ინტერნატი შენდება შატილში. მიმდინარეობს შუა საუკუნეების უნიკალური ძეგლის შატილის ციხე-კოშკის რესტავრაცია. ჯერი მიდგა ბისოს, ხახმატის, როშკის, მუცოს, ჭალის და სხვა სოფლების კეთილმოწყობაზე, მშენებლობის ასე ფართო მასშტაბები არ ახსოვს ფშავ-ხევსურეთს.

და მაინც გასაკეთებელი გაცილებით მეტია, განსაკუთრებით ხევსურეთში. კოლმეურნეობის ტერიტორიაზე განლაგებული ხევსურეთის სამი სასოფლო საბჭოს 42 სოფლიდან 34 სოფელში არ მიდის საავტომობილო გზა, 31 სოფელი ელექტროფიკაციის გარეშეა დარჩენილი. დაწყებითი სკოლებისა და ბიბლიოთეკების ნაწილი დაქირავებულ ბინებშია მოთავსებული. ხევსურეთში დღემდე არ არის რაიმე მნიშვნელოვანი დაწესებულება ან საწარმო, სადაც ახალგაზრდობის ნაწილი მაინც იქნება დასაქმებული. დასაჩქარებელია სოფლების რადიოფიცირება და სატელევიზიო გადაცემათა მიღებისათვის გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულება, რასაც აქაური მოსახლეობა ინტერესით მოელის. ყოველივე ამის შემდეგ სრულყოფილად იქნება ათვისებული მთის დიდი სიმდიდრე.

ყველა ეს სატკივარი თავად ხევსურებმა გადმოგვცეს. ისინი მართალნი არიან. ვისაც უშუალოდ ეხება ეს საქმე, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდნონ მის შესრულებას. ყოველივე ამაზე დამოკიდებულია ხევსური მოსახლეობის მიგრაციის შეწყვეტა. სწორედ ამ და სხვა საკითხების მოუგვარებლობის ბრალია, რომ 50-იანი წლებიდან ხევსურეთის მრავალი სოფელი დაცარიელდა, ბევრი კი სრულებით გაუქმდა.

ფშავ-ხევსურეთის მშრომელები მტკიცედ მიემართებიან პარტიის XXV ყრილობის მიერ ნაჩვენები გზით, არ უშინდებიან სიძნელეებს, რადგან მათ გვერდით არის რაიონი, მთელი რესპუბლიკა. გრძნობენ პარტიის და მთავრობის ყოველდღიურ დახმარებას, ისინი ქვეყნის კულტურასა და ეკონომიკაში მუდამ შეიტანენ თავიანთ ღირსეულ წვლილს.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ

# „სიბრძნისა ერთი წყაროი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ბიბილური

ერთხელ, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის კითხვის დროს, სწორედ იმ ნაწილში, სადაც საუბარი შუმერების ძველთაძველ კულტურას ეხებოდა, ერთმა პატარა ცნობამ შემძრა. ვიდრე გეტყოდეთ რას ეხებოდა ეს ძველთაძველი ცნობა, მინდა გაგახსენოთ, რომ შუმერები და აქადები შუამდინარეთში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III ათასწლეულებში ცხოვრობდნენ, ჰქონდათ ძლევამოსილი სახელმწიფო და, რაც მთავარია, შექმნეს კულტურა, რომელმაც თავის მხრივ დიდი გავლენა იქონია შემდეგდროინდელ საკაცობრიო კულტურებზე. ისტორიკოსთა საყოველთაო აზრით, შუმერული კულტურისაგან განვითარდა ძველბაბილონური, ასურული, ხეთური და ელამური კულტურების უმთავრესი და ყველაზე დამახასიათებელი ელემენტები. ლურსმული დამწერლობის გამოგონების პატივიც შუმერებს ეკუთვნით.

შუმერული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშები — „გილგამეში" და „თამუზის სიზმარი" ქართულადაც არის თარგმნილი მაჩაბლის პრემიის ლაურეატის ზურაბ კიკნაძის მიერ და დაინტერესებულ მკითხველს ხელი ადვილად მიუწვდება.

ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის ბოლოს შუმერულ ენაზე ელეგიებს წერდა თურმე ვინმე ლუდინგირა. ჩვენამდე მოღწეული ყოფილა ლუდინგირას ორი ელეგია, ერთში პოეტი დასტირის საყვარელი ძმის გარდაცვალებას, მეორეში — მეუღლისას.

სწორედ ამ ელეგიებზე გვესაუბრებოდა ისტორიკოსი, როცა მოგვითხრობდა ძველი შუმერების კულტურაზე და ის ცნობაც, რომელზედაც გითხარით შემძრა-მეთქი, ლუდინგირას ელეგიებთან იყო დაკავშირებული. წიგნში ეწერა: ამ ღირსებებმა განაპირობესო ლუდინგირას ელეგიების დიდი პოპულარობა მათი დაწერის ეპოქაშივე. როგორც ჩანს, ისინი ისწავლებოდა სკოლაში, რაზედაც მეტყველებსო ნიფურში აღმოჩენილი ერთი ფირფიტა, რომელიც შეიცავს მოსწავლის ხელით გადაწერილ და მასწავლებლის მიერ შესწორებულ პირველი ელეგიის შესავლის 20 სტრიქონსო.

ამის წაკითხვაზე თითქოს ფარდა გადაიხსნა და ათასწლეულთა მიღმიდან მოხმობილი ერთი უბრალო ამბავი გაცოცხლდა... უბრალო ამბავია, მოწაფემ ლექსი გადაწერა, გადაწერაში შეცდომა დაუშვა (ალბათ, ჩვეულებრივი ცუღლუტი ან დაუდევარი მოწაფე იყო), მასწავლებელმა ჩვეულებრივად გაასწორა თიხის ფირფიტაზე ნაწერი. და რა იცოდა მაშინ ან მოწაფემ და ან მისმა მასწავლებელმა, რომ ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი შეცდომიანი ნაწერი ათასწლეულთა მერე ისტორიკოსთათვის ძვირფასი განძი გახდებოდა, მას სათუთად დაიცავდნენ მოსკოვის პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, დღევანდელ ჩვენს საუბარს კი იმ ნაწერით დავიწყებდით...

აი, რამდენი სიფრთხილე გვმართებს თურმე მაშინაც კი, როცა ჩვეულებრივ საკლასო დავალებას ვასრულებთ... ერთიც ვნახოთ და მომავალი ისტორიკოსისათვის ეს დავალება ძვირფასი ისტორიული საბუთი გახდეს!

ხუმრობა იქით იყოს და ამ ისტორიულ ფაქტში, გარდა დროის მძაფრი სუნთქვისა, მე შევიცანი უცილობელი ჭეშმარიტება, რომელიც შუმერებმა და აქადებმა ბრწყინვალედ განსჭვრიტეს; წიგნი ყველაზე დიდი განძია, შეუცვლელი განძი!

და მარტო წიგნი კი არა, დრო ძვირადღირებულ ფასს ადებს თითქმის ყველაფერს, ყოველ სიტყვას, ყოველ ასოს, ყოველ ციფრს, რაც კი ფირფიტაზე ამოკაწრულა, ქვაზე ამოკვეთილა, ეტრატზე ან ქაღალდზე დაწერილა. ეს თითო-ოროლა ასოები, ეს ცალკეული სიტყვები და ეულად გაბნეული ციფრები აღადგენენ ჩვენს წინაშე საკაცობრიო ცივილიზაციის მთელ ისტორიას.

სწორედ წიგნზე მინდა გესაუბროთ, როგორც მიღებულია თქმა, ცოდნის მთავარ წყაროზე... თუ ეს წყარო დაშრა, ადამიანის ცხოვრებაც დაშრება. წიგნი ქმნის ადამიანის კულტურულ სახეს და ეგივე წიგნი უკვდავყოფს ადამიანს. წიგნს „ღვთის ენად", სასწაულად თვლიდნენ ჩვენი წინაპრები. წიგნს „დედა ენა" უწოდა დიდმა იაკობ გოგებაშვილმა, რადგან ადმიანისათვის „დედა ენაზე" იქმნება ყველაზე დიდი სიბრძნე... ყველაზე უფრო მძაფრად და შთამაგონებლად ადამიანს „დედა ენა" ჩაესმის.

დედაენასთან დაკავშირებულ ერთ „სასწაულს" მოგვითხრობს გიორგი მთაწმინდელი XI საუკუნის თხზულებაში, „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი".

„რამეთუ ჟამსა სიჭაბუკისასა მისისა, ვიდრე ყრმაღა იყო, სენითა მძაფრითა შეპყრობილ იქმნა და სიკვდილსა მიეახლა" (ანუ ჭაბუკობისას ეფთვიმე მძიმე სენმა შეიპყრო და სიკვდილის პირას მივიდაო), ერთ დღესო „განვაღე კარი სენაკისა, სადა-იგი დამეტევა მწოლარე, და მეყვსეულად ვიყნოსე სული სულნელებისა საკვირველი რამეთუ იქმნა მოხედვა წმინდისა ღმთისშობლისა და ვიხილე ეფთვიმე, რამეთუ მადლითა მისითა აღდგომილ იყო". „და ვითარ-იგი განვჰკრთა გონება ჩემი და ვკითხე მას ვითარმედ: რაი არს ესე შვილო?!" (ანუ ერთ დღეს სრულიად ჯანმრთელი დამხვდა და როცა ვკითხე, რამ განკურნა, რამ მოახდინა სასწაულიო. ეფვთიმემ მიუგო: „აწლა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქვა ქართულითა ენითა: რაი არს, რაი გელმოს, ეფვთიმე? ხოლო მე ვთქვი ვითარმედ: მოვკვდები, დედოფალო. და ვითარცა ესე ვთქუ მომეახლა და მიპყრა ხელსა და მრქვა: არარაი არს ვნება შენ თანაა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი. და აჰა, ესერა, ვითარცა მხედავ, ყოველადვე არღარაი მელმოს".

ბერძნულად განსწავლულ ეფთვიმეს დავიწყებოდა ქართული ენა, და აჰა, მშობლიური ენით განიკურნა „სენითა მძაფრითა შეპყრობილი ჭაბუკი".

რა თქმა უნდა, ეს დიდი მწერლის და ღვთისმოსავის ლიტერატურული ხერხია, რათა მძაფრად შეძრას მკითხველის სული და გონება, რათა აღუძრას მშობლიური სიტყვისადმი ღვთაებრივი მოკრძალება, შთააგონოს მისი სასწაულებრივი ძალა და მშობლიური სიტყვის, დედა ენის სასწაულებრივი ძალა ხომ მართლაც არსებობს... „ვაი ნანაო", დაიძახეს სიკვდილის წინ უცხოეთში გადახვეწილმა მამლუქებმა, რომელთაც აღარც საქართველო ახსოვდათ და აღარც თავიანთი ბაღლობა. „იავნანას" სასწაულებრივმა ძალამ გაახსენა გოგებაშვილის მოთხრობის პერსონაჟს მშობლიური ოჯახი და სახლ-კარი.

წიგნის უდიდესი მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ჩვენს წინაპრებს, ვისთვისაც მთავარი იყო ქვეყნისა და ხალხის ინტერესები. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ექვთიმე, იოანე და გიორგი მთაწმინდელების მოღვაწეობა, მათი ურთიერთობა ქართველ მეფეებთან. იგივე იოანე მთაწმინდელი თავის ერთადერთ შვილს, ექვთიმეს (ეს ის ექვთიმეა, მშობლიურმა ენამ რომ განკურნა), ეტყვის: „შვილო ჩემო! ქართლისა ქვეყანაი დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლიან და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა: აწ იღუაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღვთისაგან".

ეს ხდება მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში, როცა საქართველოს საბოლოო გაერთიანებისათვის დაუცხრომელ ბრძოლას ეწევიან ქვეყნის საუკეთესო შვილები. მეფე ბაგრატ მეოთხეს. რომელსაც კარგად ესმოდა ქართველთათვის მწიგნობრობის დიდი მნიშვნელობა, გიორგი მთაწმინდელისათვის უთქვამს: „წმინდაო მამაო, შავსა მთასა მცირედნი არიან მონასტერნი ჩუენნი, რამეთუ ქუეყანა არს უცხო, ხოლო ჩემი სამეფო ვრცელ არს და დიდ ფრიად და მაღალ და ეკლესიანი სამღვდელთმოძღვრონი და მონასტერნი ფრიად მრავალ და დიდებულ"... და უთხოვია, დაბრუნდი საქართველოში, ჩვენც გაგვანათლე და აგვავსე თქვენი წიგნებითაო. დიდი ხვეწნის შემდეგ გიორგი მთაწმინდელი დათანხმებულა და საბერძნეთიდან ჯერ ფოთს მოსდგომია ნავით, ფოთიდან კი სახმელეთო საქართველოს მაშინდელ სატახტო ქალაქს, ქუთაისს მოსულა. ეს ყოფილა „ჟამსა სთვლისასა", და რაკი მეფე ქუთაისს არ დახვედრია, ქართლში გადმოსულა. მეფე დიდის პატივით შეხვედრია, მისაგებებლად თურმე აახლა „მღვდელთმოძღვარი და დიდებულნი თვისნი", მოგვითხრობს მემატიანე და ბერს თხოვნით მიმართა: „წმინდაო მამაო, იმიტომ შეგაწუხეთ, რაღა ნაკლულევანებაი და ცთომა უწესო აღმოფხრუა სრულიად სულითგან ჩუენთა, დაფარული დაფარულად გვამცნიო, ხოლო ცხადი თუალუხვად განგვიმარტო".

და როგორც ისტორიიდან კარგად მოგეხსენებათ, გიორგი მთაწმინდელმა მართლაც დიდი მუშაკობა გასწია ქვეყნისა და ერისათვის. ბოლოს კი, ხუთი წლის დაძაბული საქმიანობის მერე, ერს გამოეთხოვა და საქართველოში შეგროვილი 80 მოწაფითურთ ათონისაკენ გამგზავრა, სადაც იმ დროს ქართველთა მონასტერი და კულტურული ცენტრი იყო. გზაში, კონსტანტინოპოლში გიორგი მთაწმინდელი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ასე იყო მუდამ, ერის სამსახურში დაღლილ მოღვაწეებს სადღაც, მოულოდნელად წამოეწეოდა სიკვდილი ,მათი დაწყებული დიდი საქმე კი გრძელდებოდა.

კეთილი საქმე მართლაც გაგრძელდა, იოანე და ექვთიმე ათონელების დაარსებულმა მონასტერმა ქართულ მწიგნობრობას განუმეორებელი ღვაწლი დასდო. ივანე ჯავახიშვილი, თითქოსდა ისტორიული გამოკვლევისათვის უჩვეულო ხატოვნებითაც კი აგვიწერს ამ მონასტრის ღამეულ საქმიანობას:

„თვით წესდებიდანაც კი ჩანს, რამდენად ხელშემწყობი პირობები იყო ათონში სწავლულთათვის. მხოლოდ იმათ შეეძლოდ ზეთის სყიდვა", „რომელნი მკითხველნი იყვნიან ანუ მწერალნი და წასანახავად ანუ საწერელად აინთიან, სხუაი კულა არ იყო წესი, რაითამცა კანთელსა ინთებოდესო". ძუელი მონასტერი ღამ-ღამობით წყვიადით იყო ხოლმე მო-

ცული და სიჩუმე სუფევდა ხოლმე მონასტერში, ოდენ კანდელის მკრთალი ნათელი აქა-იქ სენაკებში მონმობდა, რომ ამ მონასტერში ჩუმი, მაგრამ დაუღალავი, მშობელ ეკლესიისათვის თავგანწირული გონებრივი მუშაობა იყო; აქ მოღვაწეობდნენ სამშობლოსადმი ღრმა და გულწრფელი სიყვარულით აღფრთოვანებულნი საქართველოს მნათობნი, გამოჩენილი მეცნიერი ბერები. დიდი იყო ის ნაყოფი, რომელიც ამ გულის სიღრმიდან მომჩქეფარე გრძნობამ სამშობლოს შესძინა".

რატომ დამჭირდა შორეულ წარსულში გადახედვა? რად მოვუხმე ციტატებს წინაპართა ნათქვამიდან? იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ გაგვეხსენებინა რა წვითა და დაგვით იქმნებოდა წიგნი, რა დიდი შრომა, ნიჭი და სიყვარული ჭირდებოდა საკუთარ თუ სხვათა სიბრძნის ქვაზე, თიხაზე, ეტრატზე, ქაღალდზე გადატანას. ვისაც უძველესი ხელნაწერებისათვის ერთხელ მაინც შეუვლია თვალი ან სათუთად გადაუფურცლავს, ეცოდინება, რა სულის თრთოლვით და ხელის კანკალით გადაწერილა ისინი სანთლის შუქზე ბნელ სენაკებში. ვისაც ერთხელ მაინც მიუდევნებია თვალი ამ წიგნთა აშიებზე გაბნეული მორიდებული მინაწერებისათვის, არ შეიძლება არ მოხიბლულიყო გადამწერთა სპეტაკი, თავმდაბლური ბუნებით. „მე ულირსმან" გადავწერე ეს დიდებული წიგნიო, გვეუბნება გადამწერი და თითქოს არც უწყის, რომ მის მიერ დიდი მცდელობით გამოყვანილი ულამაზესი ქართული ასოები საუკუნეთა მერე ერის განძად ჩაითვლება.

ამიტომ იყო წიგნისადმი სიყვარული ქართველი ხალხის სხვა მრავალ კეთილ თვისებათა შორის ერთ-ერთი უპირველესი. ამის დასტურად მარტო „ვეფხისტყაოსანი" იკმარებს. ჩვეულებრივად იტყვიან ხოლმე, „ვეფხისტყაოსანს" მზითევში ატანდნენო, ანდა „ვეფხისტყაოსანი" მავანმა და მავანმა ზეპირად იცოდაო და ამაში გულისხმობენ ამ წიგნის დიდ პოპულარობას. მაგრამ ამ ნათელ მაგალითს მეორე მხარეც აქვს: ხალხში გაღვივებული დიდი წყურვილი წიგნისა. მე მჯერა, „ვეფხისტყაოსანს" საგანგებოდ კი არ იზეპირებდნენ, აქაო და ეს პოემა ზეპირად უნდა ვიცოდე და მესახელებაო, ეს დაზეპირება თითქოს თავისთავად ხდებოდა. თვით პოემა იმდენად იყო შეჭრილი ქართველი კაცის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მისი ბრძნული გამონათქვამები, აფორიზმები, ნათელი სიუჟეტი და, რაც მთავარია, პოემის იდეურ-ზნეობრივი პათოსი იმდენად ახლობელი იყო ხალხისათვის, რომ „დაზეპირება" საგანგებო მცდელობის გარეშეც შეიძლებოდა.

სასტამბო ტექნიკამ, მძლავრმა საბეჭდმა მანქანებმა, წიგნების ათასობით ტირაჟმა, ვერაფერი დააკლო ჩვენს დროში წიგნს, როგორც უპირველესსა და შეუცვლელს. წიგნს ვერაფერი დააკლო ჩვენი საუკუნის საოცრებებმა — კინომ, რადიომ, ტელევიზიამ. მსოფლიო საოცრებათა შორის წიგნი უპირველესი საოცრებააო, წერს შექსპირის, მილტონის, დიკენსის, ჰემინგუეის და სხვათა ქართულად მთარგმნელი, „ქართლის ცხოვრების ქრონიკების" ავტორი ვახტანგ ჭელიძე თავის წერილში, რომელსაც უბარლოდ „წიგნი" ჰქვია. „წიგნი თავისთავად დიდი სიკეთეა და ამავე დროს დაუშრეტელი წყაროა ყოველგვარი სიკეთისა და ბედნიერებისა, — ამბობს ავტორი, — წიგნი კაცობრიობის მეხსიერებაა. წიგნი წინაპართა მიმართ მადლიერების გამოხატულებაა. წიგნი მწარე გაკვეთილია, გაფრთხილებაა. წიგნი ცოდნის წყაროაო — როგორც ეს დიდი მწერლისათვის შესაფერისი უბრალოებით არის განთქმული. წიგნი კაცობრიობის დიდი მომავლის გზის მანათობელია. წიგნი ბრძოლის უმახვილესი იარაღია".

ამ წერილის ავტორმა, გავიდა მცირე ხანი და ჩვენს საზოგადოებას დაუსვა მოულოდნელი და მძაფრი კითხვა:

„როდის წაიკითხოს ადამიანმა „ომი და მშვიდობა?!"

და იქვე, სათაურთანვე გააფრთხილა მკითხველი, რომ „ომსა და მშვიდობაში" იგულისხმებოდა მთელი მსოფლიოს კლასიკური ლიტერატურა, უფრო ზუსტად, მისი უმთავრესი შედევრები, მთავარი სალარო და საგანძური.

მართლაც, როდის უნდა მოასწროს დღევანდელმა ადამიანმა ამ დიდი საგანძურის გაცნობა? სასკოლო პროგრამები მეტისმეტად გადატვირთულია და კლასიკური ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლისათვის კი არა, უბრალო წაკითხვისთვისაც არ რჩება დრო. ბავშვი სკოლაში ვერ ისწავლის ვერც „დონ კიხოტს", ვერც „ანა კარენინას"... სამისოდ თავისუფალი დრო უნდა გაგაჩნდეს, რათა ამ თავისუფალ დროს განმარტოვდე და კაცობრიობის დიდ სულიერ მონაპოვარს ეზიარო.

ამგვარი დრო კი მოზარდს არა აქვს.

სასკოლო საგნები ვახსენეთ. ამას დაუმატეთ მუსიკა, უცხო ენა, სპორტი და ადვილად დარწმუნდებით რა შეუბრალებლად ვიწროვდება ის „თავისუფალი დრო", რომელიც წიგნის, მხატვრული ლიტერატურის წაკითხვას უნდა ეთმობოდეს.

ამას კიდევ მოითმენს კაცი, თუ ბავშვი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას რომელიმე ჰუმანიტარულ დარგზე მოახერხებს, იქნებ იქ შეივსოს დანაკლისი, იქნებ იქ იპოვოს, რისი პოვნაც სკოლის წლებში ვერ მოახერხა?

მაგრამ თუ ჰუმანიტარულ დარგზე არ შედის? თუ ტექნიკურ დარგებს მიაშურებს? როდისღა შესძლებს იმ წიგნების კითხვას, რაც საშუალო სკო-

(დასასრული იხ. მე-15 გვ.)

# დაუვიწყარი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობარი

ქართული მწერლობა, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა დიდად დაამწუხრა გამოჩენილი რუსი მწერლის, მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლის, კონსტანტინე სიმონოვის გარდაცვალებამ.

სიმონოვი ის მწერალი იყო, რომლის მრავალმხრივი ნიჭის ყველა გამოვლინება აღბეჭდილია მაღალი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით ეპოქის, სამშობლოსა და ხალხის წინაშე.

თავისი შემოქმედებითი დიდი გზა მან პოეზიით დაიწყო და ჩვენ მოწმე ვიყავით, როგორ იზეპირებდნენ და სიმღერებად იტაცებდნენ მის ლექსებს ომის დღეებში.

ღრმა, თემატურად აქტუალური და პუბლიცისტურად მწვავე მისი პიესები, საბჭოთა სცენის მუდმივ თანამგზავრებად იყვნენ ქცეულნი, ხოლო მისი დიდი პროზა — ეპიური რომანების მთელი სერია, საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და ცხოვრების მხატვრულ მატიანედ გვევლინებოდა.

სიმონოვი თავისი მწერლობითა და საზოგადო მოღვაწეობით იყო გორკის ტრადიციების გამგრძელებელი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში და ჩვენთვის ძნელია შერიგება იმისა, რომ ნიკოლოზ ტიხონოვის დაკარგვის შემდეგ, ასე მოულოდნელად წავიდა ჩვენგან სიმონოვიც, საყვარელი მწერალი. გულითადი ამხანაგი, რომელმაც ასე ბევრი გააკეთა ჩვენი ხალხების ლიტერატურათა ძმობის აყვავებისათვის.

თავის გულწრფელ სიმპათიებსა და ზრუნვას იგი ქართული ლიტერატურის მიმართაც იჩენდა. თავისი ასეთი დამოკიდებულება იმით დაამტკიცა, რომ ქართველი მწერლების ერთსულოვან თხოვნაზე უარი არ თქვა და სათავეში ჩაუდგა სსრკ მწერალთა კავშირის ქართული მწერლობის საბჭოს.

იმ დღიდან საბჭოს მუშაობა არსებითად გარდაიქმნა და მას ბევრი სარგებლობა მოჰქონდა ჩვენი ლიტერატურისათვის.

ამ ცოტა ხნის წინათ, საბჭოთა ლიტერატურის დღეებზე, მთელი ჩვენი ხალხი ტაშით ხვდებოდა მის გამოსვლებს ქარხნებსა და ჩაის პლანტაციებში, როცა იგი საბჭოთა და უცხოელი მწერლების მრავალრიცხოვან დელეგაციას მიუძღოდა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში.

ჩვენ უზომოდ მადლობელნი ვიყავით სიმონოვისა, მოსკოვში დიდი ბრწყინვალებით ჩატარებული ქართული პოეზიის საღამოების გამო. ეს საღამოები ამ გაზაფხულზე ჩაატარა მან და იგი ჩვენი დიდი მეგობრის გედის სიმღერად დარჩა.

სიმონოვის სახლის კარი მოსკოვში მუდამ ფართოდ იყო ღია მოძმე ხალხების ლიტერატურათა წარმომადგენლებისათვის. იმ სახლში ჩვენ სტუმართმოყვარულად გვეგებებოდა მომხიბლავი, გასაოცრად გულითადი, კეთილისმსურველი და არაჩვეულებრივად გულუხვი მასპინძელი, ხოლო მისი ბინის კედლებიდან დაგვყურებდნენ ფიროსმანისა და დავით კაკაბაძის პეიზაჟები და სახეები.

ძნელია სამუდამოდ განშორება მწერლისა, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა და შეეძლო კვლავაც ბევრი გაეკეთებინა სამშობლოსა და მთელი ჩვენი მრავალეროვანი ლიტერატურის საკეთილდღეოდ.

ძნელია დაუვიწყარი მეგობრის გაცილება უკანასკნელ გზაზე.

მაგრამ ხსოვნა სახელოვანი მწერლისა და ადამიანისა დიდხანს იცოცხლებს მათ გულში, ვინც მისი მეგობრობით ამაყობდა. ხოლო კონსტანტინე სიმონოვის შესანიშნავ წიგნებს მუდამ ეყოლება მადლიერი მკითხველი და მათ მუდამ ექნებათ თავიანთი საპატიო ადგილი საბჭოთა ხალხის სულიერ საგანძურში.

გრიგოლ აბაშიძე



**კონსტანტინე სიმონოვი:**

...იმ ადამიანს, რომელსაც ოცდახუთი წლის განმავლობაში, თითქმის ყოველწლიურად რამდენიმე თვით უცხოვრია და უმუშავია საქართველოში, მას უფრო შეუძლია შეამჩნიოს ის კეთილისმყოფელი გარდაქმნები, რომელიც მოხდა ამ უკანასკნელ ხანებში, ვიდრე მათ, ვინც თქვენი შედარებით იშვიათი სტუმარი გახლავთ. მე კარგად ვგრძნობ, თუ როგორ შეიცვალა სულიერი კლიმატი რესპუბლიკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თვითმფრინავები კოშკების თავზე

აჰა, ეს ერთი ზაფხულიც იწურება! იგი ვისთვის მეთვრამეტეა, ვისთვის — ოცდამეათე, ჩემთვის კი ორმოცდამეთოთხმეტე გახლავთ...

სულ მეტი და მეტი ხალხი მიდი-მოდის ყოველ ახალ ზაფხულს ჩვენი ქვეყნის სახმელეთო, საწყლოსნო თუ საჰაერო გზებზე. ტერმინმა „ტურისტმა" ჩვენს წარმოსახვაში საბოლოოდ დაჰკარგა თავისი უცხოური წარმომავლობა და იგი თავისად, ჩვეულებრივ, საწარამარაო სიტყვად იქცა ჩვენი ქვეყნის ყველა ენაზე. მეც საბჭოთა ტურისტების მრავალმილიონიან მოდგმას ვეკუთვნი და სულიერად გამდიდრებულად, უფრო ბედნიერადაც კი ვგრძნობ თავს ყოველთვის, როცა ახალი მოგზაურობის ჟამს აღმოვაჩენ ხოლმე საბჭოთა მიწის ჩემთვის ახალ, აქამდე უცნობ კუთხეს.

ამ ზაფხულსაც ასე იყო; ბოლოს და ბოლოს, ვიხილე ერთ-ერთი ყველაზე საოცარი პატარა კუთხე საქართველოსი — ზემო სვანეთი, რომელიც აქამომდე მხოლოდ წიგნებით, მეგობართა მონაყოლითა და მშვენიერი ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის განსაცვიფრებელი აკვარელებით წარმომედგინა.

კაცმა რომ თქვას, „საქართველოს პატარა კუთხე"... აქ სიტყვამ მოიტანა. მთელი ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენელი რუკა რომ ავიღოთ, ზემო სვანეთი მართლაც მის პატარა კუთხედ, მხოლოდ მცირე წერტილად წარმოჩნდება. მაგრამ როცა მის პირისპირ დადგები, როცა იქვე შენი თვალით ნახავ კავკასიონის დიდი მთაგრეხილის თოვლიან მწვერვალებს; როდესაც გამჭვირვალე ზეცაში ისე ახლოა განთქმული თეთნულდის ციცაბო ქარაფები, გგონია, რომ აგერ ხელით მივწვდებით; როცა ქვემოთ, შენს ფერხთით, გაცოფებული ენგური უროსმცემლის მოუღლელობითა და რეაქტიული თვითმფრინავის გრუხუნით ეხეთქება ქვიან ნაპირებს; როდესაც თვალში ერთდროულად, ერთმანეთში გადაუსვლელად გიდგას ოთხი ფერი — ცისფერი — თავს ზემოთ, თეთრი — თოვლისა, მწვანე — საძოვრებისა და რუხი — მდინარეების ქაფისა და ყოველივე ამის წიაღში, თითქოს, უშველებელი ანთებული ქვის სანთლების მსგავსად, მიწიდან ამოდიან და ზეცის თავანს ებჯინებიანო, დგანან ძველთაძველი სვანური კოშკები, როდესაც ყველაფერს ამას უცქერი და მთელი არსებით გაბრუებული ხარ, „პატარა კუთხის" გაგება შენი ლექსიკონიდან ქრება.

აბა, რა „პატარა კუთხეა", თუ კი შენ, ადამიანი, შენს თავს აქ გრძნობ უზარმაზარი მარადიული ბუნების ერთ პაწაწინა ნაწილად, თუკი ირგვლივ თვით ისეთი თვალუწვდენი მშვენიერება გაკრავს, რომ შეგიძლია გონწართმეულივით იდგე და მთელი დღეები უმზერდე, მაგრამ ეს თითქმის კოსმიური მასშტაბები მაინც უჩვეულოდ გეჩვენება.

სულ რამდენიმე დღე ვიმგზავრე და ვიარე ფეხით სვანეთში, მე, რა თქმა უნდა, ვერ გავკადნიერდები და სვანეთზე ისე ვერ დავწერ, თითქოს ამ მხარეს უკვე ვიცნობდე. მაგრამ იმის უფლება კი მაქვს, რომ მისი მშვენიერებით თავბრუდახვეული ვიყო და, ალბათ, იმის უფლებაც მრჩება, რომ ჩემს სულში ჩარჩენილ შთაბეჭდილებათა ძლიერება გაგიზიაროთ.

სვანეთის ზეცაში მიმქროლავი თვითმფრინავები, რომლებიც მისი ცენტრიდან — მესტიიდან სოხუმს, ზუგდიდს, ქუთაისს მიფრინავენ და უკან ბრუნდებიან, მათ ქვემოთ გაფანტული ძველი სვანური კოშკების კონტურების შეუსაბამობად არ გაიაზრება. სვანეთის კოშკები თავისი დროისთვის ისეთივე მწვერვალია ტექნიკისა და ისეთივე საოცრებაა ადამიანის გენიისა, როგორც ჩვენი მეოცე საუკუნისთვის — სულ ახალი და ახალი ნაბიჯები ადამიანისა ზეცაში.

აი, ანაზდეულად წარმოვისახოთ უხილავი შეხმიანება საუკუნეებისა, — სვანური კოშკის მშენებლებს არ მართებთ მეტი გაოცება ჩვენი თვითმფრინავებით, ვიდრე ჩვენ ვცვიფრდებით საუკუნეებს გაძლებული მათი ნაგებობებით.

ყოველივე ჭეშმარიტად მშვენიერი, რაც კი ადამიანის ხელს შეუქმნია, საუკუნეთა წიაღში ხმიანებს და კვლავაც იხმიანებს, იქიდან გვიწვდის ხელს და კვლავაც გამოგვიწვდის. ამიტომაც: გაუმარჯოს თვითმფრინავებს სვანური კოშკების თავზე! ხასხასა საძოვრებში გაწოლილი აეროდრომის ბეტონის ზოლსა და რუხი ენგურის თავზე დაკიდებულ, მანქანებით სავსე გზატკეცილსაც გაუმარჯოს! კლდის ვიწროების ელექტროსადგურთა კასკადსა და სულ უფრო და უფრო მაღლა, მთებში მოჩახჩახე სინათლეს, ძველი კოშკების ქვებზე დაცემულ პროჟექტორების შუქს გაუმარჯოს!

მშვენიერებაზე მოგახსენებდით. აქ კიდევ მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ სვანეთის მკვიდრთა სულიერ მშვენიერებასა და სიმკაცრეზე, მათს ჩუმ თავდაჭერილობასა და სიტყვაძვირ სტუმართმოყვარეობაზე, საკუთარი ღირსების გრძნობის იმ წარუშლელ ბეჭედზე, რომელსაც ამ ადამიანებს ასვამს აქ, მათთვის საყვარელ, მაგრამ ძნელად საარსებო, მკაცრ მთებში ცხოვრება, სადაც უკლებლივ ყველაფერი, მხოლოდ შრომით, მხოლოდ შეუპოვრობით, მხოლოდ ვაჟკაცობით მოიპოვება!

ვმადლობ სვანეთს, რუკაზე ნამცეცა, მაგრამ თავისი ბუნებით დიად კუთხეს საქართველოსას, ვმადლობ იმის გამო, რომ მე, მრავალთა სხვათა მსგავსად, ამ ზაფხულს ბედმა მარგუნა მისი მკაცრი მშვენიერების ხილვა და იმის გამო, რომ მეხსიერებით წამოღებული ამ მშვენიერების მცირე ნაწილმა სული გამიმდიდრა.

## მეგობრის ხსოვნას

დავკარგე ძველი მეგობარი უსაყვარლესი...
არ ვიცი რა ვქნა, დამებინდა უცბად გონება.
არ მიფიქრია არასოდეს ამგვარ რამეზე,
რომ მე უმისოდ მომიწევდა ქვეყნად ცხოვრება.
როცა ის მიწას მიაბარეს, ვიყავ შორეთში,
გამოთხოვება ვერ შევძელი, მკლავდა ვარამი.
ახლა კი მივალ... აღარ მოსჩანს იგი გოლებში,
ის აღარ არის, ის არ არის, ის აღარ არის...
მივალ იქ, მაგრამ... ის არ არის, მსუსხავს ნაღველი,
არის ის ქუჩა, სახლი, ბინა... მაგრამ ბინდია.

აბრას ისევე აწერია მისი სახელი
და საკიდარზე მისი ჯოხი, პალტო ჰკიდია.
არის კარს მიღმა კაბინეტი... მაგრამ ჩამქრალი.
ყველაფერია, ფიქრი მბურავს გულშემზარავი.
ყველაფერია, ყველაფერი, მაგრამ სხვაგვარი...
რადგან ის იყო... და ახლა კი იგი არ არის.
ერთმანეთს ძმურად, მეგობრულად რომ მივმართავდით,
ვამბობდით: „დავსხდეთ", „წაიკითხე", „გაიზიარე",
„გამოიარე უსათუოდ ხუთ საათამდე",
„დარეკე", „მოდი", „უსათუოდ გამოიარე",
ახლა კი... უნდა მივეჩვიო სიტყვებს: „ის წერდა",
უნდა ვთქვა მასზე: „ის ამბობდა", „ის მიამბობდა".
მეხმარებოდა, მნახულობდა და ხელს მიწვდიდა,
რომ არ მენაღვლა. თბილზე-თბილი სიტყვით მათბობდა.
...შენი სიკეთის დავიწყება მეტად ძნელია,
„შენ" — გითხრა ძმურად, ახლა უკვე არ შეიძლება.
„შენს" ნაცვლად მიჭირს „ის" უნდა ვთქვა, მწველზე-მწველია,
ძნელია „შენ"-ის ასე უცბად გადავიწყება.
„მიყვარხარს" ნაცვლად — „მიყვარდას" თქმა გამიძნელდება.
„მყავს მეგობარის" ნაცვლად „მყავდა" ძნელად ითქმება.

ასეა? — არა! ჩემი რწმენა არ გარდიქმნება.
ათას წელს აღწევს ჩვენთან შუქი ჩამქრალ ვარსკვლავთა,
ჩვენამდე აღწევს... მაგრამ მათთან რა მესაქმება!
შენ უფრო თბილი, კეთილი ხარ და შუქქათქათა,
ვიდრე ცოცხალ ვარ, შენი სხივი აღარ ჩაქრება.
მცირე ვადა მაქვს სიცოცხლისა ძმას და მეგობარს,
და ამ მანძილზე შენი ძმობის შუქიც მეყოფა.

თარგმნა რევაზ მარგიანმა





ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგა ხნის წინათ კონსტანტინე სიმონოვმა იმოგზაურა სვანეთში — მესტიის რაიონში. ეს ფოტოსურათები გადაღებულია ცნობილი ფოტო-კორესპონდენტის ევგენი ხალდეის მიერ.

- დაბა მესტიაში.
- მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.
- შეხვედრა სოფელ მულახში.
- სოფელი კალა. წისქვილთან.





ირაკლი ქანდაშვილი
საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი

ელექტრონული ბიბლიოთეკა



უხვი მოსავალი.

ჩვენი კონსტიტუცია.
დეკორატიული პანო



# „სიბრძნისა ერთი დარგი“

(დასასრული. დასაწყისი იხ. მე-12 გვ.)

ლის ასაკში ვერ წაიკითხა და რაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს წაკითხული კაცს, რომელიც თავს ინტელიგენტად თვლის?

აუცილებლად უნდა ჰქონდეს წაკითხული! — ამას დაბეჯითებით ვამბობთ: კითხვას არა მხოლოდ ადამიანის სულის განმასპეტაკებელი ძალა აქვს, არამედ, ამაზეც უნდა ვილაპარაკოთ, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

როგორ გგონიათ, რატომ ვერა წერს ზოგიერთი განათლებული ექიმი, იურისტი, ან ინჟინერი კედლის გაზეთისათვის უბრალო წერილს? რატომ ვერ ლაპარაკობს თავისუფლად კორესპონდენტთან იმ საქმეზე, რაც ალბათ კარგად იცის თავის სპეციალობაზე, თავისი საწარმოს მიღწევასა თუ ჩამორჩენაზე), რატომ ვერ იძლევა ინტერვიუს ენის ბორძიკისა და არაადამიანური დაძაბულობის გარეშე?

ამას ხშირად რით არა ხსნიან, რით აღარ ამართლებენ, მაგრამ მე თუ მკითხავენ, ყველაფერში მაინც დაბალი წიგნიერი კულტურაა დამნაშავე წიგნის კითხვის გარეშე, ლიტერატურული ცოდნის გარეშე, ადამიანი ვერ მიეჩვევა საკუთარი აზრის, საკუთარი მოსაზრების ლიტერატურული ფორმით, უბრალოდ, ლიტერატურული ენით ჩამოყალიბებას.

მე არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ახალგაზრდები არაფერს კითხულობენ. თუ არ კითხულობენ, მაშ სად მიდის ამოდენა ტირაჟებით გამოცემული წიგნები, რომელთაც ბაზარზე გამოსვლისთანავე იტაცებენ? როგორ დავიჯერო, რომ მართალია ერთი ფრანგული რომანის გმირი, რომელმაც საგამომცემლო ფირმის გახსნა გადაწყვიტა, გავმდიდრდებიო. როცა მეგობარმა ურჩია, გასამდიდრებლად სხვა საქმეს მოჰკიდე ხელი, ჩვენს დროში წიგნი ვილას უნდა, წიგნს ვილა კითხულობსო, მომავალმა გამომცემელმა უპასუხა: რაც უფრო ნაკლებად კითხულობენ, უფრო მეტად იძენენ წიგნსო და თავისი საფირმო საქმიანობაც დიდი იმედებითა და რწმენით განაგრძნო.

არ მინდა დავიჯერო, რომ ის გამომცემელი მართალია.

ჩვენი ახალგაზრდობა წიგნს კითხულობს... მაგრამ თუ იმას არ კითხულობს, რაც მართლა წასაკითხია, თუ მუდამ ჭეშმარიტ ლიტერატურულ ფასეულობას არ ეტანება, ამაში დამნაშავე მარტო ის როდია. ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ყოველთვის სწორ გეზს როდი იძლევა, არც ინფორმაციის საშუალებანი უწევენ პოპულარიზაციას შეუმცდარად ფასეულს, მაღალიდეურსა და მაღალმხატვრულს, თუმცა საამისოდ ძალზე ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ.

ზოგსა ჰგონია, გაჩნდა პრესა, რადიო, კინო, ტელევიზია და მათი სახით წიგნს მოწინააღმდეგენი გაუჩნდნენო. ეს შეიძლება იმან იფიქროს, ვინც კარგად არც წიგნის ფასი იცის, არც კინოსი და არც ტელევიზიისა. ერთიმეორეს ისინი ვერასოდეს შეცვლიან. მე ვიცი, რომ „ომი და მშვიდობის“ ან „წითელი და შავის“ ეკრანიზაციის მერე უცხოეთში ამ წიგნების ტირაჟებმა ზღაპრულად აიწია. ტელევიზორში ნაჩვენებმა ფილმმა უფრო გაალვივა ინტერესი წიგნისადმი. ტელევიზია სხვაა, წიგნი სულ სხვა. მათ სხვადასხვა დანიშნულება აქვთ და საერთოდ, არც ბუნებას, არც კაცობრიობას არ უყვარს ერთიდაიგივე დანიშნულების მრავალი დეტალის შექმნა. დღეს ტელევიზორი საქართველოს თითქმის ყველა ოჯახში დგას და ნურავინ იფიქრებს გულუბრყვილოდ, რაკი ტელევიზორი გადმოსცემს კონცერტებსაც, საუბრებსაც და რეპორტაჟებსაც, დადგება დრო და ყველაფერი სახლში მოგვერთმევა, აღარც სკოლაში წასვლა დაგვჭირდება, აღარც წიგნის გადაფურცვლაო. „სიბრძნის დარგი“, ანუ შაირობა, ანუ იგივე პოეზია, იგივე წიგნი, საუკუნეთა ისეთ გრძელ შარაზეა გამოვლილი, ისეა წრთობილი დრო და ჟამის მიერ, რომ ასე ერთბაშად, ასე ერთის ხელის წამოკვრით თავს არ დაიჩაგრავს.

ლიტერატურა ერის სულის სახეა. მისი გამოსახვის იარაღია ყველაზე უფრო ეროვნული ფენომენი — ენა, სიტყვა. ამ იარაღს იგი შეუმცდარად, საუკუნეებში ნაწრთობი ცოდნით ფლობს. სიტყვის მაგიური ძალით, სიტყვის სკულპტურული გამომსახველობით ინახავს ლიტერატურა კაცობრიობის ძველთაძველ ცოდნას. სიტყვა უკვდავია, როგორც თვით ერი. იგი მუდმივ მოძრაობაშია, თითქოს მდინარეს ჰგავს, მოდის და უფრო და უფრო მეტ ძალას იკრებს. მისი შეჩერება არ შეიძლება, იგი კარგავს, ნაპირზე გამორიყავს ყველაფერს, რაც ზედმეტია ან მოძველებულია; მდიდრდება და ივსება ახალი სიტყვებით, იძენს ახალ ჟღერადობას, ეუფლება ახალ მუსიკალურ ფრაზას, ახალ ინტონაციებს. სიტყვა არ არის აბსტრაქტული რამ. მას თავისი სახე აქვს, თავისი ძლევამოსილება. იგი ცოცხალია, იგი ყველაფერშია. სძენს ფორმას ადამიანის აზრს, გონებას. მარადიულია, როგორც მარადიულია ცარგვალი, სამყარო, როგორც მარადიულია ადამიანის გონება. ამ ყოვლის შემქმნელი, ყოვლის დამამკვიდრებელი, და თუ გნებავთ, ყოვლის მმსუვრელი იარაღით, ამაყობს ლიტერატურა — გვირგვინი სიტყვის ჯადოქრული ძალისა.

განა დღესავით ნათელი არ არის, რომ სიბრძნე, ანუ ცოდნა, მარტო ტელევიზორის მოსმენითა და ცქერით არ შეიძინება? ცოდნა გულისხმობს ძიებას, კვლევას, მრავალგვარი ლიტერატურის შეჯერებას, გაღრმავებას, ფიქრს, განმარტოებას, საკუთარ საფიქრალთან და საკვლევთან მარტო დარჩენას.

აი, სწორედ ამ მარტო დარჩენის წუთებში, ამ განმარტოებისას, საკუთარ საფიქრალში ჩაძირვისას, პრობლემებთან ჭიდილში, როგორც უძველესი და ნაცადი მეგობარი, ჩვენთან რჩება წიგნი.

შესულხართ ოდესმე ძველი წიგნების მაღაზიაში? გადაგიფურცლავთ მრავალგზის გადაფურცლული წიგნი, რომელიც ბევრჯერ წაუკითხავთ, მაგრამ მაინც არაფერი დაჰკლებია? პირიქით, დროისაგან უფრო მიმზიდველი გამხდარა, უფრო მშობლიური, როგორც ძველი სახლი, როგორც ძველი ქალაქი, როგორც ძველი ტაძარი. გამოგიცდიათ სიხრაული დიდი ხნის ნანატრი წიგნის შეძენისას, როცა შინისაკენ სულმოუთქმელად მიდიხარ, რათა მალე განმარტოვდე, მალე დარჩე პირისპირ წიგნთან, მალე ეზიარო მის სიბრძნეს, განიცადო მასთან შეხვედრის სიხარული. ეს იდუმალი ძალა, რომელიც ამ უბრალოდ აკინძული ქაღალდებიდან, ამ გვირისტად ჩარიგებული ასოებიდან ძოდის, მთელ შენს არსებას იმორჩილებს, და რაც მთავარია, სამუდამოდ შენთან რჩება. ის მხოლოდ შენია, თუნდაც წიგნი მილიონებმა წაიკითხონ. როცა მას შეხვდი, არც მაყურებელთა დიდ დარბაზში მჯდარხარ, არც საოჯახო ეკრანთან. მხოლოდ შენს წიგნთან, მის გმირებთან და მის სიბრძნესთან იყავი. მაყურებელთა დარბაზში, მრავალ ადამიანებთან ერთად შენ შეგიძლია შეხვდე სხვა სასწაულს, სხვა სიბრძნეს და სხვა სანახაობას, რომელსაც თეატრი ჰქვია და რომელიც თავისთავად დიდადაა დავალებული ისევ და ისევ... წიგნისაგან.

მაგრამ ვინღა არ არის დავალებული წიგნისაგან?

ვინ შთააგონა ფრენა კოსმოსში გაჭრილ ადამიანს? — მხოლოდ ტექნიკამ? თუ იმ გაბედულმა ოცნებამ, რაც წიგნის გარეშე არ შეიძინება? რამ აალებინა გეოლოგს წერაქვი და რამ გაუყენა შორეულ გზებს კაცი, თუ არა წიგნისაგან ნაქეზებულმა მაძიებლურმა ბუნებამ? რამ აფიქრებინა კაცს ადამიანის გულის მოსმენა, თუ არა იგივე წიგნმა, რომელმაც გაუღვივა ყველაფრის შეცნობისა და შესწავლის რწმენა?

წიგნი წარმოსახვას ამდიდრებს, ადამიანს ფიქრსა და ოცნებას ასწავლის, ყველაფერი ერთბაშად, ზედაპირულად კი არ მოაქვს, შენც გიტოვებს შეუცნობლის შეცნობის წადილს, სათქმელის მიღმა მუდამ იგულისხმება მეორე, იდუმალი სამყარო, და ეს სამყარო ისევე უსაზღვროა, როგორც ვარსკვლავებით მოჭედილი კოსმიური უდაბნო. და შეცნობასაც ისევე არა აქვს საზღვარი, როგორც თვით სამყაროს. ნუ დავუპირისპირებთ ერთმანეთს იმას, რაც კაცობრიობას დასაპირისპირებლად არ შეუქმნია. მე მომწონს მშვენიერი ფილმი „ნატვრის ხე“. მაგრამ ეს ფილმი გიორგი ლეონიძის დიდებული მოთხრობების კიდევ ერთხელ წაკითხვას თუ მაფიქრებინებს, თორემ იმ მოთხრობებთან ხელოვნების სხვა დარგის რაღაც ჯიბრს — არამც და არამც. რა ფილმს შეუძლია შეცვალოს ცოცხალი, მუხლადი, ბედაური სიტყვა, გაზაფხულის დილიდან გამონაჟური სიტყვა, ლურჯთვალა იებში ნაპოვნი სიტყვა, მინდვრის ფერად ყვავილებში გაბნეული სიტყვა.

ამიტომ ნურაფერი ნუ დაგვავიწყებს წიგნს.

წიგნია ყველაფრის თავი და თავი.

ყველა დანარჩენი წიგნიდან მოდის.

ჩემი მოთხრობა ერთი ამასწინანდელი დღის გახსენებით უნდა დავასრულო:

არაგვის პირას, ანანურამდე ვიარეთ შემოდგომის ერთ მზიან დღეს მე და ჩემმა მეგობარმა. რა არ ვნახეთ იმ ერთ დღეში, კოპწიად მოვლილი ეზოები თუ აყრილ-დაყრილი, მოუვლელი გზისპირები, მიკიტნის ხარბი თვალები თუ მაძღარი მოქეიფენი, მართლა ცა ქუდად რომ არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად, ანანურის ჩუქურთმებზე გამოყვანილი ვაზი თუ კორიანტელით ამოვლილი მექორწილენი — თოჯინებით დამშვენებულ მანქანების რემას მთელ გზაზე რომ ღრიალით მოაგელვებდნენ და ხამებივით გვეძახდნენ, გინდა თუ არა შემოგვხედეთო..., ის ერთი დღე მეტისმეტად ჭრელი და მეტისმეტად კონტრასტული აღმოჩნდა.

მაგრამ იმ დღესაც ყველაფერი მაინც კეთილად დასრულდა.

როცა ანანურს ჩამოვედით და ზურგს უკან დარჩა მოქეიფეთა ღრიანცელიც და საქორწინო მაყრიონის მარათონიც, როცა ბოლოს სიჩუმე ჩამოდგა და მხოლოდ არაგვის ჩხრიალილა არღვევდა მთებში გაწოლილი ხეობის მყუდროებას, ერთბაშად, თითქოს ცა გაიხსნა და სხვა ყველაფერი —იმ დღის წყენა თუ სიხარული გაფერმკრთალდა. სასწაული არ მომხდარა, უბრალოდ არაგვისპირას ერთ ლოდზე, თხუთმეტიოდე წლის ბიჭი იჯდა და თავჩარგული წიგნს კითხულობდა.

ბიჭი წიგნის სამყაროში იყო — იდუმალებით აღსავსე სამყაროში,

ჩემი ღრმა რწმენით, მომავალ საქართველოს სწორედ ეს ბიჭი ააშენებს.





# ამერიკული ღამე

უილიამ საროიანი

ის ნისლიანი საღამო ძველი სიმღერების და წარსული დღეების მოგონებებში ჩაიძირა; შინ ვიჯექი და მუსიკას ვუსმენდი. ირგვლივ ყველაფერი დღის ბინდს მოეცვა...

გამახსენდა სიმღერა, ერთხელ ქალიშვილს რომ ვუმღერე ავტობუსში. მაშინ ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ როცა ავტობუსმა ტოპიკას მიაღწია, ქალიშვილი ჩავიდა და მას შემდეგ იგი აღარასოდეს მინახავს.

შუაღამისას როცა ვაკოცე, იგი ატირდა, მე კი სიყვარულის სენმა შემიპყრო. ეს ნაადრევი აგვისტოს ღამეს მოხდა. მაშინ პირველად მივემგზავრებოდი ნიუ-იორკში საოცრად დავნაღვლიანდი იმის გამო, რომ მე ჩემი გზით მივდიოდი, იგი კი — თავისი.

ის ნისლიანი საღამო შინ გავატარე. ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორ მიდის ერთი ადამიანის ცხოვრება ერთი გზით, სხვათა ცხოვრება კი სხვა გზით, რომ თვითეულის ცხოვრება თავისი გზით მიედინება და ამ დროს ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი აუცილებლად იღუპება — წინ მიიწევს და იღუპება. თუ მათ კვლავინდებურად ველარ შეხვდებით, ჩათვალეთ, რომ ისინი დაიღუპნენ. როგორი პატარაც არ უნდა იყოს ეს სამყარო, როგორი გულმოდგინებითაც არ უნდა ეძებო თითოეული მათგანი, ვერ მიაკვლევთ. ან თუ მიაკვლევთ — დაღუპულებსა და უსიცოცხლოებს წააწყდებით, რამეთუ გზა, რომელიც მათ აირჩიეს — დაღუპვის გზაა.

დიახ, ქალიშვილი ტოპიკაში ავტობუსიდან ჩავიდა, შენობის კუთხეს მიეფარა და მას შემდეგ აღარასოდეს შევხვედრივარ.

შევხვდი ბევრ სხვას, ბევრი მასავით საყვარელი იყო, მაგრამ მის შესადარს არასდროს შევხვედრივარ. არავის ჰქონია მასავით სევდიანი, მიმზიდველი ხმა, არც არავის უტირია მასავით. ალბათ, არც არავის და არასოდეს ექნება მისებური სევდა და ნაღველი.

აღარასოდეს განმეორდება იმ ღამის მსგავსი ამერიკული ღამე.

იგი ახლა, შეიძლება, უფრო მომხიბვლელია, მაგრამ ველარც ის და ველარც სხვა ვინმე შეძლებს ისე ტირილს და პირველი კოცნის შემდეგ არავის შეეყრება ისე ძლიერად სიყვარულის სენი. ყველაფერი ეს იმ ამერიკული ღამის საკუთრებაა, რომელიც უკვე იყო და აღარ განმეორდება, და რომლის დაბრუნება შეუძლებელია!

ყველაფერი ეს ეკუთვნის იმ მცირე, უფერულ, ჩვეულებრივ შემთხვევათა საუკუნეს, რომელმაც ჩვენ ერთმანეთს შეგვახვედრა.

...ქალიშვილი მოვიდა და ჩემს გვერდით დაჯდა; ფიქრით ვიცოდი, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე მას ველოდი, მაგრამ ტოპიკაში იგი ავტობუსიდან ჩავიდა, მე კი ადგილზე დავრჩი. მხოლოდ სამი დღის შემდეგ ვიხილე ნიუ-იორკი.

სულ ესაა, რაც მაშინ მოხდა. ჩემი ნაწილი ჯერ კიდევ იქაა — იმ თბილმა ამერიკულმა ღამემ დაისაკუთრა.

დღის ბინდი ღამის სიბნელით შეიცვალა. ქუდი დავიხურე და სახლიდან გავედი.

მივაბიჯებდი ნისლიან ქალაქში, დიდი, შეუპოვარი, ერთგული ძაღლივით მიმყვებოდა თან ჩემი გული. ქალაქში რამდენიმე უსიცოცხლო, დასუსტებულ ადამიანს შევხვდი — ისინი ჩემი მეგობრები იყვნენ.

...და სიცილში, სიცილში, რომელიც უფრო საბედისწერო იყო, ვიდრე ის მწუხარე ცრემლი, დავლიეთ, ვისაუბრეთ, ვიმღერეთ... მახსენდებოდა მისი მიმზიდველობა, მისი მგრძნობიარე ცრემლი, იმის გამო, რომ უფერულ შემთხვევათა საუკუნემ ჩვენ ერთმანეთს შეგვახვედრა. მახსენდებოდა ჩემი მაშინდელი გულისთქმა — დარჩი მასთან, ნურსად წახვალ!

მართლაც, რომ არსად მქონდა წასასვლელი...

ინგლისურიდან თარგმნა
ლიკა გაჩეჩილაძემ

# კაიკაცობა

ტასია სახტად იყო დარჩენილი, ეს ერთი კვირაა რაღაცას ატყობს ქმარს, უჩუმრად დაფუსფუსებს, თავის სადურგლო იარაღებს არჩევს, აწესრიგებს, იქნებ, გასაკვირიც არაფერი იყო, ნიკა თავის ავლა-დიდებას დღენიადაგ ელოლიავებოდა, მაგრამ აი, ტასიას რომ პირს არიდებდა, რაღაც ზრახვა რომ ამოქმედებდა, ეს იყო ტასიასათვის გამოცანა.

„რამ დაამუნჯა ეს კაცი, რამ ჩაუგდო ენა მუცელში? — ჯავრობდა თვითონაც უსიტყვოდ და გული აუძგერდებოდა, — ამ გასაწყალებელს ღმერთი ხომ არ გაუწყრა, ვინმეს ხომ არ გადაეყარაო... უმალ იქვე გადაიწერდა პირჯვარს — ღმერთო მაპატიე, თუ რამ ცუდი გავიფიქრეო... შემოხწყრებოდა — ეს რაებს ჩამძახი, რაღა დროს ეგენია, მე და ნიკას ოჯახს ეს ეკადრება?"

ტასიამ ხძლია უსიამო ფიქრებს და ქმარს დაუყვავებით სთხოვა — ქალიშვილთან სტუმრად წავიდეთო.

— რომ არა მცალია! ტყავის ქურთუკს ვუკერავ და ატელიეში მივდივარ, უნდა დავიხსნა!.. — მიუგო ნიკამ.

— რას ამბობ, ადამიანო?

— რაც გესმის... არ შეიძლება ერთხელ მეც გამოვიპრანჭო? — ნიკა წამოდგა და სარკის წინ გაიჯგიმა.

ტასიას გულში უსიამოვნოდ გაჰკრა, რაღაც ისევ იაზრა და არც იაზრა.

— საქორწილოდ ხომ არ ემზადები?! — ხუმრობით თითი დაუქნია ქმარს.

— აკი ვიქორწინეთ, კიდევ უნდა დამაწერინო ჯვარი? რა ხართ ეს ქალები, ეშმაკის კუდის მაკვნეტელები! — მეუღლეს ხელი გადახვია და ანიშნა, დროა მასაუზმოო.

„ფუი, ეშმაკს, შე მიწადასაყრელო ჩემო თავო, ეს ბრიყვული ფიქრები გეკადრება", — ტასია დატრიალდა, სუფრა გაშალა.

— ტასია, თეთრეული ხომ მაქვს გარეცხილი? ზღვიდან რომ ჩამოვიტანე იმ ჩემოდანში ჩამიწყე!

ტასია თოფნაკრავივით შემოტრიალდა, ისევ აებნა გონება.

— ადამიანო, არ იტყვი რა გიდევს გუნებაში?

— კაიკაცობა! სხვა აბა, რა უნდა მედოს?!

ქალმა მხრები აიწურა და კარადის თავზე შემოდებული ჩემოდნის ჩამოსაღებად პატარა სკამი ფეხით მოითრია.

— საგზური მოგცეს? — გულზე მოეშვა ტასიას.

— მე რა, წითელი კოჭი ვარ, შარშანაც, წელსაც. სხვები ხალხნი არ არიან? ახლა ისინი წავიდნენ! — პირის წმენდით წამოდგა ნიკა, ცოლს ხელზე ეამბორა და კარი გაიხურა.

ტასიამ რაღას არ გადააწვდინ-გადმოაწვდინა გონება, მაგრამ ვერაფერი გაიაზრა, გუმანი ვერაფერზე მიიტანა.

ნიკა მალე დაბრუნდა ახალ ქურთუკში, თან ტკბილეული მოაყოლა და მეუღლეს ალერსიანად უთხრა, დილით მატარებელი ადრე გადისო.

— რომელი მატარებელი? — ნამცხვარს ცივად შეუშვა ხელი ტასიამ.

— მატარებელი 999, ვაგონი 9, ადგილი 9, — ნიკამ უბიდან ბილეთი ამოიღო და ცოლს გაუწოდა, — მიყვარს რიცხვი ცხრა! დედაჩემმა იცოდა ხოლმე თქმა, როცა რაიმე უხაროდა: „მეცხრე ცაზე ვარო", „ცხრაჯერ გამოვიძინეო" — მამას ატყუებდა ხოლმე ავადმყოფობაში ღამეებს რომ უთენებდა; ახლა ცხრა ძმა ხერხეულიძეები! ჩემი ნაბოლარა ძმა ბალღობაში მომადგებოდა ხოლმე: „აბა, თქვი ცხრააო", რომ ვიტყოდი, უმალ სიხარულით მომახლიდა — ყვავი დაგაცხრაო! მერე ისე გულიანად აკისკისდებოდა, თითქოს პაწია ზარები წკრიალებენო... ჰაი, რა ბავშვი იყო, იმიტომაც არ შეგვრჩა, — ნიკამ მომუჭული ცხვირსახოცი თვალზე მოისვა, — ტასია ჩამილაგე ჩემოდანი?

ტასია გულხელდაკრეფილი იდგა.

— დაყრუვდი, ადამიანო?!

— მზად არის, ნიკა, ყველაფერი მზად არის! — ტასია ტახტზე ჩამოჯდა და ქმარს მიაცქერდა. ნიკამ დამნაშავე ბავშვივით თვალი ჭერზე მოატარა და მერე ჩემოდანი შეამოწმა, ხომ არაფერი დაავიწყდა ტასიასო.

— კაცო, აღარ იტყვი სად მიდიხარ, სამძიმარზე ხომ არა? — მოთმინება დაელია ქალს.

— სამძიმარი შორს ჩვენგან, კარგ საქმეზე მივდივარ, ჩემო ტასია, დიდ და კარგ საქმეზე. სოფლად!

— თუ ეგრე გიყვარდა სოფელი, ქალაქში რაღა მოგარბენინებდა? — ახლა კი აიმრიზა ტასია, — შენი პირველი ცოლი ხომ არ მოგენატრა?!

— რა ხართ ეს ქალები, ცოლი იყო, აუგად ნუ მოიხსენიებ. მას ქმარიცა ჰყავს და სანაქებო შვილები და შვილიშვილებიც. ვინც უნდოდა, ცოლიც იმისი გახდა, ბარაქალა მის ქალობას. აბა, მე ვქენი საქმე, ძალათი რომ მოვიტაცე და მუქარით მინდოდა შემეყვარებინა თავი, იმის ჯიბრით, რად დამიწუნა-მეთქი, რა მიქროდა!.. ვინც მესურვილება, იმისი უნდა ვიყოო! დაჰკრა ფეხი და... უპატიოსნობით კი არ მოუვიდა, სიყვარულმა გაიმარჯვა! ჯიბრით რა აშენებულა, ჩემი ოჯახი რომ აშენებულიყო!.. შიგ სოფელში კი არ მივდივარ, განთიადულას გორაზე ეკლესია რომ დგას, იქ მივეშურები!..

— ეკლესიაში რა გინდა, შე კაცო, ჭაბუკობაში არაფერი გწამდა და ახლა?! — ტასიას ჩაიდანი ხელში შეაცივდა.

— რაც ჭაბუკობაში მწამდა, ახლაც ისა მწამს — შრომა, პატიოსნება, მოყვასი... მაგრამ შენ გაზეთებს რომ კითხულობდე, მაშინ გეცოდინებოდა, ის ჩვენი სოფლის ეკლესია კულტურის ძეგლად რომ არის აღიარებული, სახელმწიფო დაცვა დაუწესეს და ხარაჩოებში ჩასვეს, რომ დრო-ჟამითა და თუ გულბოროტი ადამიანებით „დასნეულებული" ისევ „ფეხზე დააყენონ". მეც იქით მივეშურები... ისე ავულეხე დანის პირები ჩემს შალაშინებს, რომ...

— გეტყობა, საქმე გამოგლევია, განთიადულას გორაზე რა დაგრჩენია?! — სამზარეულოში ხკამებს რახარუხი აუყენა ტასიამ.

— რატომ არ დამრჩენია? ძალიანაც ბევრი დამრჩენია... ეჰეი, ნიკა ბიჭო!... — ცოლს თავზე ხელი გადაუსვა.

— დამეხსენ, ნეტავ რა გაკლია, ერთი-ორი გროშისთვის იმ გოლგოთაზე რომ სახლდები?

— გროშების იმედი ნუ გექნება... მუქთად უნდა ვიმუშაო... კიდევ დამისხი ჩაი!

— ვინ დაგიძახა, ყველაფერში რომ ცხვირის ჩაყოფა გიყვარს! — ახლა უკვე ცრემლები მოადგა ტასიას და კინაღამ მდუღარე ზედ არ გადაისხა.

— ვინ უნდა დამიძახოს, გული მეძახის, ჩემი ქვეყანა მეძახის, სხვამ ვინ უნდა დამიძახოს, აბა? დათბება და შენ და ბავშვებსაც იქ აგიყვანთ!

...ადრიანად გავიდა ნიკა სახლიდან, ტასიამ ერთი კი წამოიწია საწოლიდან, მაგრამ უმალ გაახსენდა, ნიკას დამშვიდობება არ უყვარდა და ისევე გაინაბა.

მიდიოდა ხელოსანი განთიადულას მშობლიური გორებისაკენ, სადაც იდგა „დარღვეული" თეთრი ტაძარი, ჩიტის ბუდეებით გამთბარი და დრო-ჟამით გასალკლდევებული... იქნებ ისევ იქ ეგდო ატეხილ ბუჩქნარში ჩაკარგული მისი პატარა თითებით გამოთლილი ლერწმის სალამური?!.

ქეთევან მილაშვილი



# ◆ რესპუბლიკაში პირველი ◆

საბჭოთა კავშირში შეუნელებელი ყურადღება ენიჭება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

სააფთიაქო დარგის მუშაკებისათვის, ცხადია, დედათა და ბავშვთა ფარმაცევტიული მომსახურების სრულყოფა ყოველთვის იყო და არის ერთ-ერთი უპირველესი ზრუნვის საგანი.

საქართველოს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს ისტორიაში ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის № 27-ე აფთიაქში პირველად დაიწყო ფუნქციონირება სპეციალიზირებულმა პედიატრიულმა სააფთიაქო განყოფილებამ.

ჩვენი მუშაობის ძირითადი აქცენტი იქითკენ არის მიმართული, რომ ყოველნაირად შევუწყოთ ხელი დედათა და ბავშვთა შეუფერხებელ ფარმაცევტიულ მომსახურებას, მათი ჯანმრთელობის განმტკიცებას, სხვადასხვა პროფილაქტიკური ღონისძიებების დროულად განხორციელებას.

აფთიაქის პედიატრიულ განყოფილებაში ამჟამად შემოტანილია 500-მდე მიკროდოზირებული პრეპარატი. გვაქვს ისეთი დეფიციტური მედიკამენტებიც, რომლებიც ფართოდ იხმარება დედათა, ჩვილთა და მოზრდილთა მკურნალობის თანამედროვე პრაქტიკაში. ეს მედიკამენტები ავადმყოფებთან ხშირად ჩვენ თვითონ მიგვაქვს ბინებში.

აღსანიშნავია ის ქმედითი დახმარება, რომელსაც სისტემატურად გვიწევს საქართველოს მთავარი სააფთიაქო სამმართველო. სამმართველოს ცენტრალურ ბაზაში შეუფერხებლად ხდება ჩვენი განაცხადის კორექტივა და ასევე შეუფერხებლად, ოპერატიულად გვეგზავნება მოთხოვნილი მედიკამენტების ახალი პარტიები.

როგორც მოგეხსენებათ, 1979 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ბავშვის დაცვის წელიწადად არის გამოცხადებული. ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით, მეტი მონდომებითა და მომთხოვნელობით შემართა ჩვენი აფთიაქის მთელი კოლექტივი. თავისთავად ცხადია, მარტოოდენ მოწადინებითა და მომთხოვნელობით ვერაფერს გავხდებოდით, საიმედოდ რომ არ შემოგვხიდებოდნენ მხარში სათანადო ორგანიზაციები.

ჩვენს წინადადებებს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს უფროსი პატივცემული გ. ხანთაძე ყოველთვის საქმიანად, ოპერატიულად და მხარდაჭერით ეკიდება; არც თბილისის ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან გვაკლია ყურადღება და არც „საქმედტექნიკის" სამმართველოს უფროსის — რესპუბლიკის დამსახურებული პროვიზორის ო. ნიშნიანიძისაგან. რესპუბლიკის სანგანათლების სახლი, რომელსაც პატივცემული თ. ლომინაძე ხელმძღვანელობს, სისტემატურად გვაწვდის ახალგაზრდა დედებისათვის საჭირო სამედიცინო ლიტერატურას...



ქ. თბილისის № 27-ე აფთიაქში. ▲

აი, ამიტომაც არის, რომ აფთიაქის ბავშვთა განყოფილებაში სიტყვა „დეფიციტურმა" თავისი მნიშვნელობა დაკარგა. პედიატრიულ განყოფილებაში უხვად გვაქვს გამაგლობულინი, ინტერფერონი, ანტისტაფილოკოკური, ანტისტრეპტიკური ფაგები, სტერილიზატორები, რძის გამოსაცვლელი მექანიზმები, საბავშვო სანწორები თუ სხვადასხვა სამედიცინო ტექნიკის ნაწარმი. მეტად სასიამოვნოა, რომ ჩვენს წამოწყებას დადებითად გამოეხმაურა და მაღალი შეფასება მისცა საკავშირო გაზეთმა „მედიცინსკაია გაზეტამ".

ასევე სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ მოძმე ბულგარეთის ცნობილი საკურორტო ქალაქის ვარნის № 1 აფთიაქის მმართველმა — პროვიზორმა ემილია დრაგნევმა გულთბილი წერილი მოგვწერა.

თავის წერილში ბულგარელი სპეციალისტი აღფრთოვანებით უჭერს მხარს ჩვენს წამოწყებას; გვთავაზობს მჭიდრო კონტაქტის დამყარებას, გვთხოვს ჩვენი გამოცდილების გაზიარებასა და ახალი პერსპექტივების დასახვას.

არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ თბილისის № 27-ე აფთიაქის პედიატრიულმა განყოფილებამ მშრომელებში უკვე დიდი მოწონება, პატივისცემა და ავტორიტეტი დაიმსახურა.

პროვიზორი ს. სალუქვაძე,
ქ. თბილისის № 27-ე აფთიაქის გამგე.



◀ აფთიაქის ბავშვთა განყოფილებაში.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



## თავადის ღვინო

განსვენებული თავადი ზაალი, როგორც ავიენები მოგვითხრობს, დიდი ტრაბახა და ცრუპენტელა კაცი ბრძანდებოდა.

ერთხელ ოდიშიდან ერთი თავადიშვილი ესტუმრა ნეტარხსენებულ ზაალს. სადილად რომ დასხდნენ, მასპინძელმა ერთი ბოთლი დაბეჭდილი ღვინო მოიტანა და თავმომწონედ უთხრა სტუმარს.

— აბა, ინებეთ, ნახეთ როგორია ჩემი მამულის ღვინო! თუთხმეტი წლიწადია, — დაუმატა მასპინძელმა, — რაც ღვინო დაბეჭდილ ბოთლებში მაქვს შენახული და ჯერ არ მინახავს, მაგრამ წინდაწინ ვგრძნობ, რომ უსათუოდ მოგეწონებათო.

როდესაც მოსამსახურემ ბოთლს თ›კი მოხსნა, უეცრად, დასწყევლოს ღმერთმა, და ბუზი ამოფრინდა ბოთლიდან!...

— როგორ მოგეწონათ ღვინო? — ჰკითხა მასპინძელმა სტუმარს, როდესაც უკანასკნელმა გასინჯა ნაქები ნუნუა.

— არ გიკვირთ, — დაუმატა ტრაბახით თავადმა ზაალმა, — რომ ამოდენა ხანს ასე მშვენივრად შენახულა ჩემი ღვინო?!

— მიკვირს! — მიუგო სტუმარმა, — მაგრამ ის უფრო მიკვირს, ბატონო, რომ თქვენში ბუზები ამდენს ხანს ცოცხლობენ და ისიც ბოთლებში დამწყვდეულებიო!

## რა გიჭრიჭინებს?!..

ერთ საღამოს დიდძალი ხალხი დასეირნობდა ქუთაისის ბაღში, რომელსაც „ბულვარი“ ეწოდება, სახელად. ერთმა დარბაისელმა აზნაურმა თავმომწონედ ჩამოისეირნა ბაღის წინ.

ამ დროს სკამზე მჯდომმა ერთმა თავადმა დაუძახა გამვლელ დარბაისელს:

— ოჰ! რა უბედურება გიჭყავის და გიჭრიჭინებს ფეხებში? ღმერთმა იცის, გული და სული წავვართვი და უნდა სადმე გადავიკარგოთო...

— შე დალოცვილო! — მიუგო დარბაისელმა აზნაურმა, — შენ ორმოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც თავში გიჭყავის და გიჭრიჭინებს და არავინ გადაკარგულა და ჩემმა წაღების ორმა დაკვნესამ როგორ უნდა გადაგკარგოსო!

## მეხსიერების გაწვრთნა

მეხსიერება ისეთი ნიჭია, რომლის გაწვრთნა არ არის ძნელი, ნამეტნავად ბავშვობიდან. თუ როგორ მაღალხარისხამდე შეიძლება მეხსიერების გაწვრთნა, ამტკიცებს იტალიელი პროფესორის არლინის მაგალითი. ამას წინათ, ნეაპოლში, მრავალი საზოგადოების წინაშე, არლინიმ წაიკითხა ზეპირად დანტეს შესანიშნავი პოემა „ღვთაებრივი კომედია“, რომელიც შესდგებოდა 15.350 სტრიქონისაგან. არლინი ერთხელაც არ შეჩერებულა და ერთი შეცდომაც არ მოსვლია. რამდენჯერმე შესწყვიტა პოემის გადაცემა მხოლოდ იმიტომ, რომ გამშრალი ყელი წყლით მოელბო. არლინი ლაპარაკობდა საღამოს 8 საათიდან დილის სამ საათნახევრამდე. მისი სიტყვით მეხსიერების ასეთ გაწვრთნას ის ყმაწვილობიდანვე შეუდგა და მაინცა და მაინც ეს საქმე არ გასჭირვებია.



# ახალ-ახალი ამბები

## გაცოცხლებული წარსული

ამას წინათ ხელოვნების მოყვარულთა ყურადღება მიიპყრო მოძმე სომხეთის დედაქალაქ ერევანში გახსნილმა სუვენირების მაღაზიამ.

მაღაზიაში ფართოდ არის წარმოდგენილი დეკორაციული ვაზები, თეფშები, წიგნში ჩასადები მისანიშნები, რომლებიც უძველესი ხალხური ნახატებისა და ორნამენტების ასლებით არის შემკული.

წარსულის შედევრები მოხდენილად გააცოცხლეს № 8 სამხატვრო ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა, რომლებიც გულდასმით ეუფლებიან ხელოვნების უძველესი ხალხური ტრადიციების საიდუმლოებას.

## ჩრდილოეთით გადაინაცვლა

ბერძნული თხილი სითბოს მოყვარული მცენარეა. ყირგიზელმა სპეციალისტებმა შეძლეს მისი მოშენება—გამრავლების საზღვარი ჩრდილოეთით გადაეწიათ.

ბერძნული თხილის პლანტაციები დიდ ფართობზე გაშენდა ტიან-შანის მთაგორებზე, ისიკ-კულის მაღალმთიანი ტბის სანაპიროზე.

ახალი პლანტაციებიდან უახლოეს ხანში უკვე მოსავალს ელიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 50—60 მილიონი წლის წინათ

ბალტიის ზღვის ადგილას 50—60 მილიონი წლის წინათ ჰყვაოდნენ პალმები, მაგნოლიები, ვარდები, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ლიტველი სწავლულები.

მეცნიერებმა თავიანთი დასკვნა გამოიტანეს ქარვის ნატეხებში შემორჩენილი მწერების, უძველესი მცენარეების ნარჩენების გულმოდგინე შესწავლითა და გაანალიზებით.

# მედიცინის სიახლენი

## გუმიზოლი

სახსრებისა და ნერვული სისტემის სამკურნალოდ ესტონელმა სპეციალისტებმა ამ რამდენიმე ხნის წინათ დაამზადეს ახალი პრეპარატი — გუმიზოლი.

ავადმყოფებს, რომლებსაც გუმიზოლით მკურნალობდნენ, ერთ კვირაში გაუუმჯობესდათ საერთო მდგომარეობა, თითქმის მთლიანად გაუქრათ ტკივილები, ნორმალური გაუხდათ ძილი.

აღსანიშნავია, რომ გუმიზოლი არავითარ უარყოფით ზემოქმედებას არ იწვევს ადამიანის ორგანიზმში.

## პროფილაქტიკისათვის

კიევის სამედიცინო ინსტიტუტის სპეციალისტებმა ამას წინათ ჩაატარეს ჯანმრთელი და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებული ადამიანების თითების ანაბეჭდების შედარებითი ანალიზი.

დადასტურდა, რომ თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებული ადამიანის თითების ანაბეჭდებში არის მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც არ გვხვდება ჯანმრთელი ადამიანის თითების ანაბეჭდებზე.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეს კანონზომიერი თავისებურება დიდ დახმარებას გაუწევთ მათ გამოავლინონ პაციენტები, რომლებსაც თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის დაავადება უნვითარდებათ.

ასეთ შემთხვევაში, შედარებით ადვილია და მეტ სამკურნალო ეფექტს იძლევა მთელი რიგი პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.

# საჭადრაკო არქივიდან

## „მოიგებს ის, ვისაც... მეფე არა ჰყავს!“

გამოჩენილ ამერიკელ მეცნიერს, პუბლიცისტ-განმანათლებელსა და პოლიტიკურ მოღვაწეს ბენჯამინ ფრანკლინს (1706-1790 წწ) თავდავიწყებით უყვარდა ჭადრაკი. ჩვენ არ ვიცით, როგორი ძალის მოჭადრაკე იყო იგი, მაგრამ ისტორიამ შემოგვინახა ბენჯამინ ფრანკლინის მშვენიერი ესეი — „ჭადრაკის ზნეობრივი ღირებულებანი“, რომელიც გვარწმუნებს, რომ დიდი მეცნიერი ღრმად ერკვეოდა ამ ბრძნული თამაშის ნიუანსებში.

ბ. ფრანკლინი ხალხის თავისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლიც იყო. იგი რამდენიმე წლის მანძილზე (1777-1785 წწ) ხელმძღვანელობდა საფრანგეთში ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების დიპლომატიურ მისიას. სწორედ მისი დაუღალავი მეცადინეობის წყალობით ცნო საფრანგეთმა ამერიკის შეერთებული შტატები და ომი გამოუცხადა ინგლისს; ამან ხელი შეუწყო ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ აჯანყებული ამერიკელი ხალხის წარმატებას.

სულით ხორცამდე დემოკრატ ბ. ფრანკლინს სასტიკად სძულდა მეფე, ტირანია.

აი, რას მოგვითხრობს ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე მარი ჟოზეფ ლაფაიეტი:

ერთხელ ბ. ფრანკლინი კაფე „რეჟანსში“ ჭადრაკს თამაშობდა. შუა თამაშში მან უხეში შეცდომა დაუშვა და შამათი მიიღო. ბ. ფრანკლინმა აუღელვებლად აიღო თავისი მეფე დაფიდან და ხიფთანის ჯიბეში ჩაიდო. განცვიფრებული მეტოქის კითხვაზე, რას აკეთებთო, მეცნიერმა მშვიდად უპასუხა: „გააგრძელეთ, მუსიო, ჩვენ მალე დავინახავთ, რომ მოიგებს ის, ვისაც მეფე არა ჰყავს!“

## საიმედოდ დაიცავს

უკრაინის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის სოპოტის მახლობლად გაცხოველებული სამუშაოები სწარმოებს ხელოვნური ზღვის შესაქმნელად.

შმაგ მდინარე სტრის გზას გადაუღობავს გრძელი კაშხალი, რომელსაც თექვსმეტმეტრიანი სახლის სიმაღლე ექნება.

კაშხალი სოფლის მეურნეობის ნათესებს საიმედოდ დაიცავს ხშირი წვიმებისა და თოვლის სწრაფი დნობით გამოწვეული ღვართქაფისაგან.

## 200 წლის წინათ

ეთნოგრაფები სომხეთის მაღალმთიან სოფელ ახურიაში ამას წინათ ერთ-ერთი კოლმეურნის ოჯახში შემთხვევით წააწყდნენ თიხის უძველეს კოკას.

ჭურჭელს აქვს ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალის ფორმა...

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანი მხატვრული ღირებულების თიხის კოკა, სულ ცოტა, ორი საუკუნის წინათ არის დამზადებული.

## მნიშვნელოვნად მომრავლდნენ

ვრანგელის კუნძულის გულმოდგინე შესწავლამ სპეციალისტები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ არქტიკაში უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად მომრავლდნენ თეთრი დათვები.

ვრანგელის კუნძული თეთრი დათვების საყვარელი ადგილია. სწორედ ამ კუნძულზე იბადება ყველაზე მეტი თეთრი დათვი.

კვლავ ძალაში რჩება კანონი თეთრ დათვებზე ნადირობის აკრძალვის შესახებ.

## სწრაფი და საიმედო

რიაზანის სამედიცინო ინსტიტუტის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კათედრის გამგემ ნ. შუგაროვმა შექმნა ორიგინალური ელექტრომოწყობილობა, რომელიც საშუალებას იძლევა სწრაფად დავადგინოთ თაბაშირის საფენის ქვეშ როგორ ეზრდება ძვლები ერთმანეთს.

კლინიკურმა პრაქტიკამ სპეციალისტებს დაანახა ახალი მოწყობილობის საიმედო სიზუსტე. მედიცინის მუშაკებს საშუალება მიეცათ უფრო მეტად გააძლიერონ მკურნალობის კონტროლი.

## მალე დაინერგება

კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ცენტრალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უკანასკნელ ხანებში ფართო გავრცელება ჰპოვა ავადმყოფების ელექტრომაგნიტური ტალღების ენერგიით მკურნალობამ.

ამ ტალღების გავლენით მნიშვნელოვნად უმჯობესდება პაციენტის ქსოვილებში სისხლის მიმოქცევა, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა, უმჯობესდება აგრეთვე ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქცია და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედება.

ამ მეთოდს მალე დანერგავენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულებებში...

მსგავს შემთხვევაზე გვიამბობს მ. ჟ. ლაფაიეტზე არანაკლებ სანდო მოწმე, ამერიკელი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე თომას ჯეფერსონი.

ბ. ფრანკლინი ჭადრაკს ეთამაშებოდა ღრმად მოხუცებულ ჰერცოგინია ბურბონსკაიას. მოხუცმა ქალმა ვერ შეამჩნია, რომ მის მეფეს ქიში გამოუცხადეს და სხვა სვლა გააკეთა. მეტოქემ მეფე მოკლა. „რას შვებით, მეფის მოკვლა არ შეიძლება!" — შესძახა ჰერცოგინიამ. „ჩვენთან, ამერიკაში, კლავენ!" — მოუჭრა ბ. ფრანკლინმა.

## ცოდვილი

სამი საუკუნის წინათ ინგლისის ეკლესიამ მორწმუნეებს რატომღაც კვირადღეობით ჭადრაკის თამაში აუკრძალა. და აი, ზუსტად სამასი წლის შემდეგ, ერთმა თავგადადებულმა ჭადრაკის მოყვარულმა და ღრმად მორწმუნე ინგლისელმა შემთხვევით შეიტყო ამ აკრძალვის შესახებ. იგი აღელვებული მივიდა მღვდელთან.

— მამაო, მე კვირაობითაც ვთამაშობ ჭადრაკს, რადგან არაფერი ვიცოდი აკრძალვის შესახებ. ცოდვად ხომ არ ჩამეთვლება ეს ამბავი?! — ჰკითხა მან.

პასუხის ნაცვლად მღვდელმა ჭადრაკი დააწყო და თამაში შესთავაზა. რამდენიმე წუთში სულიერმა მამამ ზედიზედ მოუგო სამი პარტია.

— შვილო ჩემო, ჭადრაკის ასე სუსტად თამაში, მარტო კვირას კი არა, ნებისმიერ დღეს ცოდვად ჩაგეთვლებათ! — უთხრა მორწმუნე მოჭადრაკეს შეუბრალებელმა მღვდელმა.

არქივიდან ამოიკრიბა
ბიჲი ძინძიბაძემ

## იუმორი

★

ცოლი: ხვალ ჩვენი ქორწინების წლისთავია, ქურდებს დავუძახე!
ქმარი: საწყალი, განა მისი ბრალია?!

★

— გეხმარებათ თქვენი ცოლი ტანსაცმლის წმენდაში?
— დიახ!... ჯიბეების წმენდაში!

★

— მიაგენით ჩემს წერილში იმას, რისი თქმაც ენით ვერ შევძელი?!
— რა თქმა უნდა!... თხუთმეტ ორთოგრაფიულ შეცდომას!

★

— ამ ფოტოსურათებს ვერ დავიხსნი; მათში მთელი ათი წლით დამაბერეთ!
— ნუ ჯავრობთ, ქალბატონო, სამაგიეროდ, ათი წელი აღარ დაგჭირდებათ სურათის გადაღება.

★

— დეპეშა მინდა გავგზავნო!
— აი, ბლანკი და შეავსეთ!
— წერა რომ ვიცოდე, წერილს გავგზავნიდი!

★

— რატომ არ გამოგზავნეთ ზარის შემკეთებელი?
— როგორ არა, ქალბატონო, მან ორჯერ დარეკა თქვენთან, მაგრამ არავინ გამოეხმაურა; ეგონა, შინ არავინ იყო.

★

— საშინელი სიზმარი ვნახე; ვითომ ინგლისელი ვიყავი, წარმოშობით ლივერპულიდან.
— მერედა რა არის ამაში საშინელი?
— რადა... ერთი სიტყვაც არ ვიცი ინგლისურად.

★

— გახსოვთ, ექიმო, ერთი წლის წინ რომ შეგაწუხეთ რევმატიზმის გამო და მირჩიეთ, სინესტეს არ გაეკარეთო?!
— დიახ, დიახ, მერე?
— ახლა კი მინდა შეგეკითხოთ, ჩემთვის შხაპის მიღება შეიძლება?!

ფრანგულიდან თარგმნა
იონა ბადაპიძემ

## აქლემების ორთაბრძოლა

თურქეთში ყოველწლიურად ეწყობა აქლემების ორთაბრძოლა. ორკუზიანი აქლემების შერკინება აქ ისევე ტრადიციული და პოპულარული სანახაობაა, როგორც კორიდა ესპანეთში.

ბრძოლისათვის საგულდაგულოდ არჩევენ 6-8 წლის ძლიერ აქლემებს (აქლემის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით 30 წელია). შერკინება იმართება იანვრიდან აპრილამდე. ამ პერიოდში ბრძოლაში მონაწილე აქლემებს თითქმის არაფერს აჭმევენ, რის გამოც ისინი ძალზე აგრესიულები ხდებიან.

აქლემების ბრძოლას ამზადებს სპეციალური საორგანიზაციო კომიტეტი; ეს კომიტეტი აწესებს აგრეთვე აქლემების ბრძოლის თარიღსა და ბილეთის საფასურს. მიღებული შემოსავალი, როგორც წესი, ხმარდება სკოლების რემონტს, გზების მშენებლობას, მეჩეთების შეკეთებას.

აი, შეჯიბრების მონაწილეებმა და მაყურებლებმა ვეებერთელა მოედანზე მოიყარეს თავი. მოედნის ცენტრში ამაყად თავაწეული ორი აქლემი ერთმანეთის პირისპირ დგას. მათ ვერცხლით მოკაზმული ყაჯრები აქვთ გადაცმული და მძიმე უნაგირები ადგათ; ტყავის აღვირზე მრავალი ზანზალაკი წკარუნობს. გაისმა ბრძოლის დაწყების მაუწყებელი გონგის ხმა და მკერდგამობზეკილი ცხოველები ერთმანეთს თავგანწირვით ეკვეთნენ. დაიწყო ცხარე ორთაბრძოლა, გულშემატკივართა ყიჟინამ გარემო შესძრა. ბოლოს ერთ-ერთმა აქლემმა მძლავრი დარტყმით მეტოქე ძირს დასცა. გამარჯვებული აქლემი თავისი პატრონის თანხლებით, მაყურებელთა ტაშის გრიალში, საპატიო წრეს უვლის.

შეჯიბრება მიმდინარეობს ოთხი დღის მანძილზე ოლიმპიური სისტემით — დამარცხებულები შეჯიბრებას ეთიშებიან.

აქლემებს კუზებს შორის, როგორც წესი, დადგმული აქვთ სპეციალური უნაგირი, რომლის წონა ას კილოგრამს აღემატება. ეს უნაგირი შეტაკების დროს აქლემს დარტყმის ძალას მატებს.

დღესასწაულის დასასრულს გამარჯვებული აქლემის პატრონს ტრადიციისამებრ გადასცემენ ხოლმე პრიზს — ხელით ნაქსოვ ძვირფას თურქულ ხალიჩას.

გიორგი დათუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თითქმის დაუჯერებელი

□

● უნგრელი სპეციალისტების გამოანგარიშებით, თუ ადამიანის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე წარმოთქმულ ყველა სიტყვას ქაღალდზე გადავიტანთ და დავბეჭდავთ, გამოვა, საშუალოდ, 400 გვერდიანი... 1.000 ტომი.

□

● ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლუიზიანას შტატის გუბერნატორმა მიიღო 50 დოლარის ჩეკი, რომელსაც პატარა ბარათიც ახლდა თან.

ბარათში ეწერა: „30 წლის წინათ მე თქვენ მოგპარეთ ფული. ახლა უკან გიბრუნებთ".

წერილი მთავრდებოდა ასეთი ხელმოწერით: „ყოფილი ქურდი".

□

● ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა ფსიქოლოგიური სამკურნალო განყოფილება... ძაღლებისათვის.

მედიცინის ეს ახალი „დარგი" რომელიც პროფესორმა ი. კურნელმა დააარსა, დიდი პოპულარობით სარგებლობს ძაღლების შეძლებულ პატრონებში.

□

● ამერიკის შეერთებულ შტატებში კარგა ხანია რაც ყოველწლიური განქორწინების შემთხვევებმა გადააჭარბა... მილიონს.

□

● როგორც იაპონელი პროფესორი მასაო კაკამორი ირწმუნება, რძეში შემავალი ცილისგან, გაყინვისა და სხვადასხვა ნაზავის დამატებით, შეიძლება მივიღოთ.. ხელოვნური ხორცი.

□

● სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც 50 მილიონზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა, დაახლოებით დაჯდა... 4.000 მილიარდი დოლარი.

□

● მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში 150-ზე მეტი ომი გაჩაღდა. ამ ომებმა იმსხვერპლა დაახლოებით 10 მილიონი ადამიანი და 6.500 მილიარდი დოლარი დაჯდა.

□

● ჩვენს პლანეტაზე ყოველ წელიწადს დაახლოებით ნახევარი მილიონი ადამიანი ეუფლება რუსულ ენას.

ამჟამად რუსულ ენას ფლობს... 500.000.000-მდე ადამიანი.

□

● სპეციალისტებმა შექმნეს ქაღალდის ახალი სახეობა, რომელიც ერთგვარ კონკურენციას გაუწევს... ქსოვილებს.

ახალი სახეობის ქაღალდისაგან დამზადებულია გრილი, ლამაზი და იაფად ღირებული სარაფნები, პერანგები, წინსაფრები...

მათი გამოყენება ერთხელ, ანდა რამდენჯერმე შეიძლება.

□

● ზაჰესისა და რიონჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ამჟამად შეიძლება ეყოს მხოლოდ... რესპუბლიკის ტელევიზორებისა და რადიომიმღებების კვებას.

გ ა რ ე კ ა ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე: თბილისის მეტროპოლიტენის II უბნის მშენებელთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) უბნის მექანიკოსი შურა მაჭარაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამირან ზარქუა, სოციალისტური შრომის გმირი კუზმა ლუბავსკი.

მ ე ო თ ხ ე გ ვ ე რ დ ზ ე: თბილისის მეტროპოლიტენის II უბნის მიწისქვეშა სადგურები: „პოლიტექნიკური" და „აკაკი წერეთელი".

თარხან არჩვაძის ფოტო.

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**თარაზულად:** 1. მუსიკალური საკრავების ხმის სახშობი მოწყობილობა; 4. ქართველი მოჭადრაკე; 8. ჩხუბი, აყალმაყალი; 9. იაპონიის ქალაქი; 11. ჩექმებში ჩასატანებელი ვიწრო შარვალი; 15. ალბენისის საფორტეპიანო ნაწარმოები; 16. სასტუმროს მოსამსახურე; 17. ჟურნალ „მოსკოვი-ოლიმპიადა 80"-ის გამომცემელი იაპონიის ფირმა; 20. ამერიკელი კინორეჟისორი; 21. არამშობლიური ენის თავისებური წარმოთქმა, ამა თუ იმ ბგერის უნებური დამახინჯები; 22. საგრილებელი; 26. ნახატი, რომლის წინ მოთავსებულია მოცულობის მქონე ფიგურები; 27. ამა თუ იმ მეცნიერებაში ამოსავლად მიღებული დებულება; 28. მხატვრული ან მუსიკალური ნაწარმოების თავისებური შემოქმედებითი შესრულება; 29. განათხარ თევზთა ნარჩენების შემცველი ქანებიდან მიღებული ზეთისებრი ნივთიერება.

**შვეულად:** 1. იუგოსლავიის რესპუბლიკა; 2. პირველი ქართველი კინოსცენარისტი, მწერალი და თეატრალური მოღვაწე; 3. შენობის ნაწილი; 4. ბულგარეთის ქალაქი; 5. შამილის მიერ შექმნილი სახელმწიფო; 6. წარმოება-დაწესებულების მმართველობის ორგანო; 7. ძველის, დრომოჭმულის დაცვა; 10. შუა კაცი მოდავე მხარეთა შორის; 12. ელექტრომოწყობილობა, სადაც გაერთიანებულია რადიომიმღები და ფირსაკრავი; 13. ინდონეზიის დედაქალაქი; 14 დიდი წრის გასწვრივ განლაგებული თორმეტი თანავარსკვლავედი, რომელთა გავლითაც მოძრაობს მზე წლის განმავლობაში; 16. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან ;19. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 23. მაყურებლისაგან დაშორებული ნაწილების დაპატარავებით ფიგურების, საგნების გამოსახვა პერსპექტივაში; 24: ცხენების სახედნად მოწყობილი მოედანი ან შენობა; 25. შესანახად მოლულეპული ყურძნის წვენი.

კროსვორდი შეადგინა ქ. ქურდოვანიძემ.

გადაეცა ასაწყობად 8/X-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XI-79 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 55.450. შეკვ. 2534. უე 06879. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი

380008, თბილისი 8. რუსთაველის პრ. 42.

ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილების გამგეების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

# ბარაქიანი რთველი







ალექსანდრე
სააკოვის
ფოტო





ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა



